# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 ივნისი, 2012 წელი.

№115 (6991)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# გურიაში რა გინდოდა, თუ ოცნება არ გინდოდა!



2 3 4



ბუნებრივია, ამ ფრაზას – „გურიაში რა გინდოდა"... ტელევიზიითაც ხშირად გაიმეორებენ, მაგრამ მის მთქმელს თემურ ჭკუასელს ჩემსავით ახლოს ცოტა ვინმე თუ იცნობს და ამიტომაც გულწრფელად მინდა ვურჩიო პრეზიდენტ სააკაშვილის მეხოტბე ახალგაზრდა ჟურნალისტებს, რომ ეს კოლორიტული პიროვნება – პროფესიონალი ტელეწამყვანი და სცენარისტი, ცნობილი მწერალი და მომღერალი, ლეგენდარული ფოლკლორული ანსამბლის „ქართული ხმების" (ცოტა უფრო ადრე ანსამბლ „ჟურნალისტის"ძ ერთ-ერთი შემოქმედი, თქვენც გამოგადგებათ და მიშას ლაქიობისგან გიხსნით, თუ ის პოლიტიკაში მოვა და პარლამენტში ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატად მოგვევლინება.

თვით ბიძინა ივანიშვილს ჯერჯერობით საერთოდ არ ვიცნობ. ამიტომაც, მის ყოველ მოქმედებას, როგორც ყველა ფხიზელი კაცი, არც ვაქებ, არც ვკიცხავ... მხოლოდ ვაკვირდები, მაგრამ რადგანაც „ქართული ოცნების" ლიდერი თემურ ჭკუასელის უახლოესი მეგობარი ყოფილა, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა: ცხოვრების ათას ქარაშოტში მუდამ წმინდა სანთელივით მოკიაფე თემურ ჭკუასელის მეგობარი შეუძლებელია ქართული ცნობიერების, ქართული ტრადიციების, ქართული ზნეობის დამცველი არ იყოს.

ჩვენ მხოლოდ ზნეობრივი და მართალი პიროვნება გვჭირდება, მერე – სხვა დანარჩენი... დახეთ, როგორ დააკნინა და შეარცხვინა საქართველო ნაციონალური მოძრაობის და მისი ბელადის ამდენმა უზნეობამ და ტყუილმა...

ჰოდა, ოზურგეთის ცენტრში 17 ივნისს გამართულ მიტინგზე, რომელსაც მინიმუმ 20 ათასი კაცი ესწრებოდა, ბიძინა ივანიშვილმა პირველი სიტყვა სწორედ მის ერთ-ერთ თანამებრძოლს თემურ ჭკუასელს გადასცა.


იხ. 4 გვ.


## შეწყდეს ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაცია!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II საკვირაო ქადაგებისას ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის დაუყოვნებლივ შეჩერება მოითხოვა. უწმინდესმა ბრძანა, რომ ბევრი რამ არასწორედ კეთდება და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ რესტავრაცია თვითნებურად და საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად მიმდინარეობს.

– „ამიტომ გავეცი ბრძანება, დროებით შეწყდეს სარესტავრაციო საქმიანობა ბაგრატის ტაძარში, ვიდრე არ გავერკვევით დეტალურად, რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გაკეთდეს. ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ისტორიული და კულტურული ძეგლია და მას ასე უბრალოდ ხელი არ უნდა მოვკიდოთ", – აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, საპატრიარქო გამართავს შეხვედრებს „იუნესკოს" წარმომადგენლებთან, ასევე, იმ მშენებლებთან, რომლებიც სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებდნენ და ამ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს საპატრიარქოსთან არსებული სპეციალური კომისიაც.

„ეს უნდა იცოდეს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემაც და ბაგრატის ტაძარში უნდა შეწყდეს სარესტავრაციო სამუშაოები, ვიდრე არ იქნება გარკვეული ყოველი დეტალი. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ბაგრატის ტაძარი „იუნესკოს" ყურადღებიდან იქნეს ამოღებული. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება და ჩვენ მივიღებთ ისეთ ტაძარს, როგორიც ჩვენთვისაა საჭირო. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია", სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე და მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის!, – ბრძანა უწმინდესმა.

## სკოლაში მანდატურის ინსტიტუტის საკითხი შესასწავლია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აზრით, სკოლებში მანდატურების ინსტიტუტის საკითხი შესასწავლია.

როგორც უწმინდესმა საკვირაო ქადაგებაში ბრძანა, ბავშვების აღზრდაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მშობლებს, ეკლესიასა და სკოლას ეკისრება და მათ ახალი თაობის სიყვარულით აღზრდაზე უნდა იზრუნონ.

– „ჩვენ კი ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ზედამხედველებად ე.წ მანდატურები დავუნიშნეთ. ისინი კი არ ზრდიან ბავშვებს, აქცევენ მათ ენის მიმტანებად თავიანთ მასწავლებლებსა და მეგობრებზე. ამიტომ ეს საკითხი შესასწავლია. შიშით ვერ გავზრდით შვილებს, მხოლოდ სიყვარულით და კეთილი სიტყვით უნდა აღვზარდოთ ისინი. მადლობა ღმერთს, რომ ვცხოვრობთ დროში, როდესაც გვაქვს ორი სასულიერო აკადემია და ათობით სასულიერო სასწავლებელი. მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის", – ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ წინა პატრიარქების დროს ამგვარი რამ წარმოუდგენელი იყო.

ჟურნალისტიკიდან პოლიტიკამდე

**პაატა ნაცვლიშვილი:**

## ამერიკული გაკვეთილი გია ხუხაშვილის ძაღლისათვის



6

# ჩვენ ღირსეული, ამაყი და წელში გამართული ხალხის ხელისუფლება უნდა ვიყოთ!..

## ბიძინა ივანიშვილის მიმართვა გურულებს



**მოგესალმებით, გურულებო!**

მახსენდება დიდი ფრანგი ფილოსოფოსის სიტყვები: **„ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ!“** დარწმუნებული ვარ, დეკარტე გურული რომ ყოფილიყო, პირიქით იტყოდა – **ვარსებობ, ესე იგი ვაზროვნებ!**

ვერანაირი ოქრო-ვერცხლი ვერ შეედრება ამ სიმდიდრეს – აზროვნებას.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, გურული გლეხი ისე იმსჯელებს მსოფლიო პოლიტიკაზე, ბევრ ევროპელ პოლიტიკოსს შეშურდება. ხოლო იმავე გლეხის და მისი რამდენიმე მეზობლის ნამღერი კრიმანჭული, მრავალხმიანი და იმპროვიზაციული სიმღერა, მსოფლიო პოლიფონიის შედევრად რომ არის წოდებული, ყველაზე მაღალი რანგის აზროვნებას გვასწავლის - არადოგმატურს და შემოქმედებითს, უზუსტესს და თავისუფალს.

მე-19 საუკუნის ბოლოს, ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა თედო სახოკიამ გურიაში რომ იმოგზაურა, გაოცებული დარჩა გურულების ნიჭიერებით, სწავლა-განათლებისადმი მიდრეკილებით, ძლიერი ოჯახებით და განსაკუთრებით გურულების სტუმართმოყვარეობით.

**დროა, გურულებმა თავისი საკადრისი ადგილი იპოვონ. თქვენი ადგილი კი, საუკეთესოთა შორისაა.**

გურულები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული იუმორითა და კრიტიკული აზროვნებით და, რაც ყველაზე მთავარია, კრიტიკას არ აკლებენ არც ერთ ხელისუფლებას.

ნოდარ დუმბაძეს უთქვამს, სადაც ორი გურულია, იქ სამი განსხვავებული აზრიაო!

განსხვავებულ აზრს ებრძვის სწორედ ეს ხელისუფლება, და ავიწყდება, რომ ეს კრიმანჭულის, ხასანბეგურას სამშობლოა, აქ ყველა სხვადასხვა ხმას და მელოდიას მღერის, მაგრამ ერთად ისეთი პოლიფონია იქმნება, მსოფლიოში ბადალი რომ არ მოეპოვება!

ასეთებად უნდა დარჩეთ, გურულებო, საქართველოს ასეთები უყვარხართ, ასეთები სჭირდებით!

დიახ, ჩვენ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, როცა ხელისუფლების ღირსების საქმე იქნება, როგორ მოექცევა იგი განსხვავებული აზრის ადამიანებს.

**მე ყოველთვის ვოცნებობდი საქართველოზე, სადაც თავისუფალი ადამიანები იცხოვრებდნენ. მე მჯერა, რომ თავისუფლება ქართველი კაცის მთავარი ღირებულებაა და ჩვენ ერთად ავაშენებთ ასეთ ქვეყანას!**

**დიახ, ასეთი ხალხისთვის ღირს თავგანწირვა. დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ქართველები ჩემი განვლილი ცხოვრების გამო მიჭერენ მხარს და არა იმიტომ, რომ სხვაზე მეტი ფინანსური საშუალება მაქვს. თუმცა, ხელისუფლებას ყველა თავისნაირი ჰგონია და თქვენს მხარდაჭერას ანგარებას და გამორჩენის სურვილს აბრალებს. ეს თქვენი შეურაცხყოფაა, ეს ჩვენი შეურაცხყოფაა!!!**

**მე მჯერა, ქართველი კაცისთვის ღირსებაა მთავარი და არა ფული. ზუსტად ამას ადასტურებს ამ კუთხის შვილის, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება.**

**როცა პირველად პარიზიდან საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზეს, ექვთიმე თაყაიშვილს უარი უთქვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცს, რომელსაც მთელი ქვეყნის განძი ებარა, პიჯაკი არ ჰქონია რიგიანი. აი, სწორედ ასეთი კაცი, მისი ცხოვრების წესი, სამშობლოსათვის თავდადება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა ზნეობის მაგალითი ქართველებისთვის.**

**მე ვოცნებობ ისეთ სახელმწიფოზე, რომელშიც ყველას ექნება საშუალება საკუთარი ნიჭითა და შრომით მიაღწიოს წარმატებას.**

**ნიჭი და ნიჭიერება გურულების მოგონილია. ამისი რომ შურს, ალბათ, იმიტომ მიაგდო და მიატოვა ასე გურია ხელისუფლებამ. წლებია არაფერი გაკეთებულა! და რაც იყო, ისიც გაპარტახდა!**

უჭირს გურიას, სტუმართმოყვარეობით განთქმულ გურულებს აღარც სტუმრის გამასპინძლება შეუძლია და არც საკუთარი თავის რჩენა. გურული რისი გურულია, ამ გაჭირვებულ ყოფასაც მსუბუქი იუმორით რომ არ უყურებდეს.

სულ რამდენიმე ხნის წინ ასეთი რამ მოვისმინე:

საღამო ხანია, გურული მარტოა სახლში, ნაადრევად დაწვა – ეგება ჩამეძინოს და შიმშილმა გადამიაროსო...

ცოტა ხნის მერე, კარზე ბრახუნმა გამოაღვიძა. წამოხტა და იკითხა: რომელი ხარო?

ყაჩაღები ვართ, გაგვიღე დროზე კარი, სანამ შემოგვინგრევიაო, – გააგონეს გარედან.

უჰ, თქვენ აგაშენათ ღმერთმაო, მე სტუმრები მეგონეთ და გამისკდა შიშით გულიო...

ხუმრობა იქით იყოს და, რომ ვუყურებ დღევანდელ ჩვენს ყოფას და განსაკუთრებით იმას, რაც ხდება გურიაში, სულ ერთი ფრაზა მიტრიალებს თავში - ეს ხომ უნდა მოახერხო, ხომ უნდა მოახერხო და ასეთი მადლიანი მხარე შიმშილის პირას მიიყვანო, უნდა მოახერხო, რომ ასეთი მადლიანი ქვეყანა – საქართველო – სიდუხჭირეში აცხოვრო. ხომ უნდა მოახერხო, რომ ასეთ გულღია და სიცოცხლისმოყვარე ხალხს დაუკარგო მომავლის იმედი და გაამწარო.

ნოდარ დუმბაძის სიტყვებია: „...ქართველები რბილი ხალხია, ჭკვიანი, ალერსიანი, სიმღერა უყვართ, ამხანაგი უყვართ, ამხანაგის გულისათვის სახლს გაყიდიან, ოღონდ შენც სამაგიერო სიყვარულს გთხოვენ.... თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდეც, სამოთხესავით ქვეყანაა საქართველო, სამოთხესავით...“.

რამდენად არ უნდა გესმოდეს არც ეკონომიკა, არც ბიზნესი, არც პოლიტიკა და, რამდენად არ უნდა იცნობდე საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, ბოლოს და ბოლოს, როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, რომ მისი სხვა ქვეყნად გადაქცევა განიზრახო!

ასე ექცევა ეს ხელისუფლება საქართველოს, საქართველო მათი სამშობლო კი არა, ძალაუფლების ასპარეზია. ძალაუფლების დაკარგვის შიშით კი, ეს ხელისუფლება ყველაფერზე მიდის, ყველაფერს კადრულობს.

როგორც კი გაიგო ოზურგეთში „ქართული ოცნება“ იკრიბებაო, სააკაშვილი სასწრაფოდ გამოიქცა ოზურგეთსა და ურეკში და დაპირებების კორიანტელი დააყენა.

ტყუილი რომაა, გურულებო, ეს დაპირებები, თქვენ კარგად იცით. ხომ გახსოვთ, წინა ჩამოსვლაზე რა სპექტაკლი დადგა გურიაში – კალანდობა გაითამაშა საქვეყნოდ, ამისთვის თეატრის მსახიობები ათამაშა, – ნახეთ, რა დალხენილად ცხოვრობენ გურულებიო. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, გურულებს რას მოატყუებ!

ან როგორ უნდა იკადროს ხელისუფლებამ აგდებული და უღიერი მასხარაობა იმ უშიშარ და მებრძოლ ხალხთან, რომელიც ყოველთვის განთქმული იყო უსამართლობასთან ბრძოლის ჟინით. ეს იყო გურიაში ფირალობის ნამდვილი მიზეზი. დროთა განმავლობაში ფირალები მითიურ გმირებადაც გადაიქცნენ. რამდენი ლეგენდა, ლექსი და სიმღერაა ფირალებზე, რაც ჩვენი ისტორიის და კულტურის ნაწილი გახდა.

გურულებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რომ პოლიტიკაა, ამაზე, მგონი, მთელი ქვეყანა შეთანხმებული ვართ. გურულები ყოველთვის იქ არიან, სადაც პოლიტიკაა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრების წარმომადგენლებს შორის უმეტესობა გურული იყო. თავად დამოუკიდებლობის აქტზე პირველი ხელმოწერაც გურულისაა (ნოე ჟორდანიასიძ და ბოლოც (გერონტი ქიქოძისძ, პირველი 9 ხელმომწერიდან 6 გურულია.

ჩემო მეგობრებო,

**რვა წლის წინ, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში, იმედი გვქონდა, რომ ქართული სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, დაადგებოდა ეკონომიკური კეთილდღეობისა და დემოკრატიის გზას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთი უბედურებიდან მეორეში ჩავცვივდით.**

**დღეს უკვე ხელისუფლების უგუნურება იქამდე მივიდა, რომ ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ყველანი სამშობლოს დავკარგავთ.**

**ეს რომ აშკარად დავინახე, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, წინ აღვდგომოდი ამ უგუნურებას.**

ჩემს ბუნებაშია და ხასიათი მაქვს ასეთი – სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, კარგად უნდა გავიაზრო და ავწონ-დავწონო ყველაფერი. ამ ხასიათს არც პოლიტიკაში ვუღალატე – გარწმუნებთ, რომ ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც თავიდანვე მქონდა დაგეგმილი და გააზრებული.

ამ გეგმით ვმოქმედებთ, ყველაფერი გათვლილი გვაქვს. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა დაგვიპირისპიროს, დაწყებულ პროცესებს ვერავინ შეაჩერებს და ვერც შემოაბრუნებს. ეს პროცესები აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. ამის სიტყვას მე გაძლევთ!

ჩვენ ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს საქართველოს ყოველი მოქალაქის ცხოვრება და ვიცით, რა არის ამისთვის საჭირო!




მე ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგან ცხოვრებას ჩემთვის ლანგრით არაფერი მოურთმევია. სოფელში დავიბადე და გავიზარდე, ბავშვობიდან ვშრომობ და კარგად ვიცი მისი ფასი, გლეხის შრომის ფასიც ვიცი, წარმატებული ბიზნესიც ხომ მხოლოდ დიდი შრომით მოდის.

მთელი ჩემი ცხოვრება, შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, დავხმარებოდი ჩემს ხალხს, განსაკუთრებით მათ, ვისაც, ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და კულტურაში წვლილი აქვს შეტანილი; ასევე ვცდილობდი, დავხმარებოდი ახალგაზრდა ხელისუფლებას დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, მინდოდა ხელი შემეწყო ჯარის, პოლიციისა და განათლების რეფორმებისათვის.

მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემი დახმარება არ იყო საკმარისი ჩემი ქვეყნისთვის, რადგან უამრავი ჩემი თანამემამულე უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. მივხვდი, რომ, რა

№115. სამშაბათი, 19 ივნისი, 2012 წელი.

სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყო, ვერასოდეს იქნები ბედნიერი, როცა შენს სამშობლოს ასე უჭირს.

სწორედ ამიტომ მოვედი პოლიტიკაში.

პოლიტიკაშიც, ბიზნესშიც და ყოველდღიურ ურთიერთობებშიც არსებობს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული პრინციპი — ერთია „დაყავი და იბატონე“, მეორე კი - „ძალა ერთობაშია“.

**ბიზნესში ჩემი წარმატების საიდუმლო ის იყო, რომ ნიჭიერი ხალხი შემოვიკრიბე და გავაერთიანე. და დღეს, საქართველოსთვის ბრძოლაშიც ამ პრინციპის ერთგული ვრჩები - ძალა ერთობაშია. მაგრამ, ამავე დროს ძალა თითოეულ ჩვენგანშია, ესაა თავისუფლების ძალა, სამართლიანობის ძალა, აღმშენებლობის ძალა, რომელიც ჩვენ უდავოდ შეგვწევს და სწორედ ამიტომ არის ძალა ჩვენს ერთობაში!**

**ახლა ორიოდე სიტყვით იმის თაობაზე, მარტონი ვართ ამ ბრძოლაში, თუ მხარს გვიჭერს ცივილიზებული მსოფლიო. ვიცი, ეს თქვენ განსაკუთრებით გაინტერესებთ, რადგან კარგად გესმით ამის მნიშვნელობა.**

**სააკაშვილი ცდილობს, ჩააგონოს ჩვენს მოსახლეობას, რომ დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკა, მხარს უჭერს პირადად მას და მის გუნდს. ჩვენს მეგობარ ქვეყნებს კი იმას უმტკიცებს, რომ თვითონ და მისი გუნდია პროგრესული, თორემ საქართველოს მოსახლეობა გაუნათლებელია და ჩამორჩენილი.**

**აი, ამის დამტკიცებას ცდილობს სააკაშვილი მთელი მსოფლიოსათვის. ამ სიყალბის შექმნას მოანდომა მან წლები და დაახარჯა უამრავი ფული, ბიუჯეტის ფული, ჩვენი გაჭირვებული ხალხის ფული.**

აი, ახლა, როცა უკვე ოპოზიციასაც გაუჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ხმა მიაწვდინოს მთელ მსოფლიოს, და გააგებინოს, რა ხდება რეალურად საქართველოში, ყველამ დაინახა, უფრო ზუსტად, იძულებული გახდა, დაენახა, თუ ვინ არის სინამდვილეში სააკაშვილი. ჩვენი დიდი ძალისხმევით, საბოლოოდ ჩამოვხსენით მას ნიღაბი.

**ამ ხელისუფლებაში ბევრია ისეთი, ვინც შოვნას და მოხვეჭას დახარბებული მოვიდა მთავრობაში. კარგადაც მოიხვეჭეს და ახლა მხოლოდ იმის შიში აქვთ, მათ ქონებას რამე არ დაემუქროს. ამ ადამიანებს, ცხადია, ძალიან გაუჭირდებათ ხელისუფლების დათმობა.**

**მაგრამ ჩვენ მხარესაა სიმართლე, ჩვენ მხარეს არიან დემოკრატიული ქვეყნები. ისინი საქართველოს მხარეს არიან, ისინი ჩვენი ქვეყნის განვითარებას უჭერენ მხარს და არა სააკაშვილს და მის კრიმინალურ ჯგუფს. ჩვენ ვაჩვენებთ მთელ მსოფლიოს, რომ კანონიერი გზით, არჩევნებით გავისტუმრებთ ამ თავგასულ და ახირებულ ხელისუფლებას.**

**აკვიატება და ახირებაა, აბა სხვა რა შეიძლება უწოდო, ლაზიკის პროექტს, რომელსაც სააკაშვილი სთავაზობს ჩვენს საზოგადოებას. ახლა აჩემებული აქვს ლაზიკა — თუ ქალაქი! თუ — ტანკი!!! ვის ატყუებს, საინტერესოა!**

**კაცმა არ იცის, ვისთვის აპირებს ახალი ქალაქის აშენებას, რა თანხებით უნდა ააშენოს, ან როგორ შეიძლება ჭაობზე აშენებული ქალაქი ვინმესთვის იყოს საიმედო.**

რაც შეეხება ტანკს — ლაზიკას, სად არის საქართველოში ტანკის საწარმოებლად საჭირო ერთი დეტალი მაინც, ტანკის წარმოება რომ შეძლო, კილომეტრებზე გადაჭიმული მანქანათმშენებლობის ქარხანა უნდა გქონდეს ქვეყანაში. გინახავთ სადმე ასეთი საწარმო?

ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ამდენ ტყუილს რომ დაიჯერებს. ნუთუ ასეთი ბრიყვები ვგონივართ?!

ამით სააკაშვილი მთელ ქვეყანას აყენებს შეურაცხყოფას, ჩვენს ხალხს აყენებს შეურაცხყოფას, ჩვენს ინტელექტსა და აზროვნებას.

სამეგრელოში ჯერ სხვა ქალაქებია მისახედი, ანაკლია ხომ ააშენა და იურმალას დაუმეგობრა? ახლა ლაზიკას გადაწვდა!

ანაკლიის ხიდს რა ბედიც ეწია, ყველამ კარგად ვიცით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჯერ ჩვენი ხალხია მისახედი.

თუ ახალი ქალაქის აშენებისთვის რაღაც თანხები შეიძლება გამოინახოს, რატომ არ შეიძლება, რომ ეს თანხები მოხმარდეს ურეკს, რომელიც მთელ მსოფლიოში აღიარებულია როგორც სამკურნალო თვისებების მატარებელი, უნიკალური მაგნიტური ქვიშის მქონე კურორტი.

ურეკს კი მართლა სჭირდება მიხედვა, აქაა საჭირო ინვესტიციების მოზიდვა. ურეკი უნდა გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტი, რისი პოტენციაც მას რეალურად აქვს. ჩვენი გამარჯვების შემდეგ ჩვენ ამას შევძლებთ, გპირდებით!

შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ დიდი არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი. ეს იქნება ბრძოლა ჩვენი ქვეყნის დასაბრუნებლად და ჩვენ ამ ბრძოლაში აუცილებლად გავიმარჯვებთ!

ამ ბრძოლაში ჩვენ მხარესაა ქართველი ხალხი, რომელიც არ მიეჩვევა მონობას და თავის დახრას, ხოლო ჩვენ წინაალმდეგაა ერთი მშიშარა კაცი, რომელსაც სიცრუისა და ძალადობის გარდა სხვა აღარაფერი შერჩენია. ეს უნდა დამთავრდეს!

ამ ბრძოლაში ყველანი ჯარისკაცებად უნდა ვიქცეთ, თანამებრძოლებად, ყველას უნდა ესმოდეს, რომ თვითონ არის მთავარი, რომ მის გარეშე საერთო გამარჯვება ვერ მიიღწევა. ჩვენ ყველანი თანამებრძოლები ვართ!

**შეძლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებას და ამით სარგებლობას; მოწესრიგდება მიწის დაკანონების საკითხები და შეიქმნება სათანადო გარანტიები.**

**ხელი შეეწყობათ გლეხებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში, დაფუძნდება კერძო საწარმოები, რომლებიც მომხმარებელს შესთავაზებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს - ტრაქტორებს და ყველა საჭირო აღჭურვილობას, ეს საწარმოები ხელს შეუწყობენ მათ მოსავლის აღებაში, დაბინავებაში და, საჭიროების შემთხვევაში, დასაწყობებაში, ბაზარზე გატანასა და გასაღებაში.**

გურიაში სოფლის მეურნეობის არა ერთი დარგი იყო განვითარებული, ჩაით, ციტრუსითა და თხილით განთქმული მხარე დღეს თითქმის გაპარტახებულია და მხოლოდ თხილის პლანტაციებია შემორჩენილი.

დღეს გურულებს თხილილა შემორჩათ ისედაც მწირი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ. მე ვიცი, როგორ თავდაუზოგავად შრომობთ, მაგრამ ამ შრომის შესატყვისი შემოსავალი არა გაქვთ. არა გაქვთ იმიტომ, რომ დღეს მონოპოლიზებულია თხილის ბიზნესი, ჩაბარების ფასები ხელისუფლებისგან ხელდასხმული ერთი ჯგუფის ხელშია და ამ ჯგუფის გადასაწყვეტია, რა ფასად ჩაიბარებს თხილს, და თქვენც იძულებული ხართ, ჩალის ფასად ჩააბაროთ. ეს უნდა დამთავრდეს!

ერთი მცირე ჯგუფი ველარასოდეს გადაწყვეტს ვერც ერთი ადამიანის ბედს. ყველას ექნება საკუთარი შრომჯერა, გურულებს დაგაინტერესებთ, რადგან ცნობილი ხართ განათლების მიღების წყურვილით: ცივილიზებულ ქვეყნებში დიდი ხანია, განავითარეს ასეთი სისტემა — განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე! რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია, შეისწავლოს ის დარგი, ის მეცნიერება, რომელიც აინტერესებს. ყველას უნდა შეეძლოს ახალი პროფესიის შეძენა, ან თავისი პროფესიული განათლების სრულყოფა. ჩვენ ამაში ხელს შეგიწყობთ!

ძვირფასო მეგობრებო!

**ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ყველასთვის არის ჯანდაცვის საკითხი.** ამ მხრივ ბოლო 20 წელზე მეტია ჩვენი მოქალაქეები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, თითქოს რაღაც იცვლება, საავადმყოფოებიც შენდება, მაგრამ რეალობა ისაა, რომ 21-ე საუკუნეში უექიმობისა და უწამლობის გამო კვდებიან ადამიანები. მკურნალობის ხარჯის გამო კაცს სახლ-კარის გაყიდვა უწევს. მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის სიძვირის გამო შეუძლებელია საავადმყოფოში დაწოლა, ძვირია წამლები, ძვირია ოპერაცია.

**გაჭირვებული და წელში გატეხილი ხალხი ადვილი სამართავია — მიუგდებ დახმარებას და მუდამ მადლიერი და მორჩილი გეყოლება, — ასე ფიქრობს სააკაშვილის ხელისუფლება.**

**მე და ჩემს გუნდს არ გვინდა, დაბეჩავებული ხალხის ხელისუფლება ვიყოთ, ჩვენ ღირსეული, ამაყი და წელში გამართული ხალხის ხელისუფლება უნდა ვიყოთ. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, ადამიანს მივხედავთ, ხალხს ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მივცემთ. ამიტომ, ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი გამარჯვების შემდეგ, საქართველოს თითოეული მოქალაქის — უკლებლივ ყველას ჯანმრთელობაზე იზრუნებს სახელმწიფო!**

ჩვენ მივხედავთ თქვენს ჯანდაცვას, გპირდებით!

**ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!**

**ამ ბოლო დღეებში, სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მილიონობით ჯარიმა დამაკისრა. ეს სააკაშვილის უბადრუკი ოინებია! ვიცი, რომ საზოგადოება ღელავს ამის გამო, ხალხი შეშფოთებულია. მაგრამ, ნუ შეგეშინდებათ, მე ამით ვერ შემაჩერებენ, ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ! რადგან ერთად ვართ, ჩვენ ვერავინ გვაჯობებს. არაფერი გამოუვათ, მე ვერ შემაჩერებენ!**




ჩემო მეგობრებო! ჩემო თანამებრძოლებო!

ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ, რომ „ქართული ოცნების“ პრიორიტეტებია სოფლის მეურნეობა, განათლება და ჯანდაცვა.

**საქართველოში იმდენად კარგი კლიმატური პირობებია, იმდენია მიწა და სამუშაო ძალა, სირცხვილია, ჩვენი სოფლის მეურნეობა ასე რომ არის გაპარტახებული. ეს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.**

**ჩვენ შევცვლით არსებულ პოლიტიკას და ქართულ ბაზარზე კვლავ დაბრუნდება ჩვენს მიწაზე მოყვანილი მოსავალი. ჩვენი ბაზრებიდან ხომ თითქმის მთლიანად განდევნილია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, ხოლო უცხო ქვეყნებიდან შემოტანილმა საეჭვო ხარისხის მდარე პროდუქციამ სადამდეც მიგვიყვანა, ყველამ კარგად ვიცით. აღარაფერს ვიტყვი იმ ადამიანებზე, რომლებიც თავის დროზე ამ სფეროში იყვნენ დასაქმებული, ახლა კი, უმუშევრობისა და სიღატაკისთვის არიან განწირული.**

**სწორედ ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს ააღორძინოს ქართული სოფელი და შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის იქნება განკუთვნილი.**

**ამ გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები**

მით ოჯახის ღირსეულად რჩენის შესაძლებლობა. მე გპირდებით ამას!

**მაშინ როცა, ჩვენთან, გურიაში პლანტაციები გავერანებულია, ჩვენი მოქალაქეები — ჩვენი სისხლი და ხორცი — თურქეთსა და საბერძნეთში ოჯახის სარჩენადაა გადახვეწილი და იქ თხილის, ჩაისა და ციტრუსის პლანტაციებში მუშაობით წელშია გაწყვეტილი. რა გვჭირს ასეთი ქართველებს, რა დაგვემართა, რომ ჩვენი ხალხის ადგილი ჩვენსავე სამშობლოში აღარ არის! ეს უნდა დასრულდეს!**

**ჩვენ გვჯერა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინების სიკეთე შეეხება თითოეულ ადამიანს, თითოეულ ოჯახს. ამას იგრძნობთ თქვენც, გურულები და თქვენს წვლილს შეიტანთ ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.**

ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჩვენი ხელისუფლებისთვის იქნება განათლება. დღევანდელი ხელისუფლება თავს იწონებს წარმატებული განათლების რეფორმით, თუმცა რა შედეგი მოჰყვა ამას, ჩვენ ყველამ ვიწვნიეთ.

ჩვენ ყველა სოფელში აღვადგენთ სკოლას, ყველა მოსწავლეს ექნება ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება და აღარ მოუწევთ ამისთვის სოფელ-სოფელ სიარული. ოჯახებს აღარ ექნებათ სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემა. მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია გახდება, თავისი შრომის შესატყვისი ხელფასით და სოციალური დაცვის გარანტიებით.

**მე გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!**

**მე გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ციფრს მიუახლოვდება!**

**მე გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც არავის აღარ დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა!**

**მე გპირდებით, რომ ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოში კულტურული ცხოვრების აღორძინებას, დავიბრუნებთ ღირსებისა და სიამაყის განცდას!**

**მე გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ და არჩევნებით შევცვლით ამ ხელისუფლებას!**

**ამ ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!**

**ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევძლებით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!**

# ხალხი და ლიდერი

გუშინწინ გურულებისთვის ყველაფერი ასე დაიწყო: „იმედი“ და „რუსთავი 2“ დილიდანვე ნაცმოძრაობის საქმეებზე გადასცემდნენ. სააკაშვილი ამ დროს ფოთში ხვდება ხალხს და ხელისუფლების პროგრამებზე საუბრობს. პრეზიდენტის ბოლოდროინდელ გამოსვლებში აშკარად შეიმჩნევა ეკონომიკური თემებით დაინტერესება. არა მარტო დაინტერესება, არამედ ისახება ერთგვარი სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის მონახაზები, რაც ამ ხელისუფლების აქილევსის ქუსლი იყო აქამდე. მართალია, ჯერჯერობით დიდად სიღრმისეული არაა ეს ეკონომიკური „დოქტრინა“, მაგრამ რაც გაჟღერდა ამ დღეებში, იმის იმედს იძლევა, რომ უმაღლეს ეშელონებში გამოჩნდა ხალხი, რომელთაც ესმით ქვეყნისათვის ეკონომიკის მნიშვნელობა, რაც იმის იმედს იძლევა, ადრე, თუ გვიან ქვეყანას ექნეს გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ განისაზღვროს პრიორიტეტები, რა გზით წავიდეს ქვეყანა, ეკონომიკის რა დარგზე გააკეთოს აქცენტი, „ა“ თუ „ბ“ ჯგუფზე. ერთი სიტყვით, როგორც ნაცმოძრაობა აცხადებს, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. როცა პრეზიდენტი ფოთში ამ საკითხებზე მსჯელობდა, გურიის მოქმედი გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი და გურიის ნაგუბერნატორალი აწკი მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ჩოხატაურში ასფალტის დაგებას ესწრებოდნენ. ჩოხატაურელები და ფოთელები კი ოზურგეთში წასასვლელად ემზადებოდნენ.

სარედაქციო დავალება დილიდანვე მივიღე. რადგან ვიცოდი ურეკიდან აქციაზე დასწრების მსურველები ოთხ საათზე დაიძრებოდნენ ოზურგეთისკენ, ფეხი ავითრიე, ვიფიქრე გვიან წავალ, გზა თავისუფალი იქნება-მეთქი, მაგრამ შევცდი. რას გაუგებ კაცი გურულებს, ისიც ოპოზიციის აქციაზე მიმავალთ. ურეკი-ქობულეთის გზიდან ოზურგეთისკენ მიმავალ გზაგასაყარზე ლანჩხუთიდან და ურეკიდან მიმავალი მანქანების კოლონის შუაში აღმოვჩნდი. გადავუხვიეთ თუ არა გზიდან, იქვე სამი ტელეოპერატორი იღებდა კოლონას. ყველა მანქანას აფიქსირებდნენ. პირველსავე „ტელევიზიონშიკთან“ ვაჩერებ მანქანას, რომელშიც მარტო ვზივარ და ვეკითხები.

— რომელი ტელევიზიიდან ხარ?

— „რუსთავი-2“-იდან.

— ჟურნალისტი რატომ არ გახლავს? პასუხის მაგივრად შემომიბღვირა და ზურგი შემაქცია. ახლა მეორესთან ვაჩერებ. იმასვე ვეკითხები. „რეალ TV“ ვართო, მპასუხობს ოპერატორი, ამას გოგონა ახლავს, ხელში მიკროფონი უჭირავს „რეალ TV“-ს ლოგოთი. მესამესთან მივდივარ. ისიც მარტოა. მასაც ვეკითხები რომელი ტელევიზიიდან ხარ-მეთქი. მეოთხედანო მიპასუხა. ისე შენ დაგიმშვენდა ცხვირი-მეთქი, გავიფიქრე და მანქანა დავძარი. სარკეში გავხედე, ტელეფონი ამოიღო და დარეკა, თან ჩემსკენ იყურებოდა. დარწმუნებული ვარ, მის პატრონს გადასცა ეს და ეს ნომერი ავტომანქანა საეჭვოაო. აშკარაა იყო პირველი და მესამე ოპერატორები სპეცსამსახურებიდან იყვნენ. ახლა, ალბათ, ჩემი მანქანის ნომერიც ამოღებული აქვთ და იმაზე იტეხენ თავს, რა მინოდა კოლონაში. კარგად რომ დამკვირვებოდა ოპერატორი, მკერდზე დამაგრებულ პლასტიკურ ბარათს დაინახავდა ჩემი სურათითა და და წარწერით „პრესა, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. ერთი ამბავი გამახსენდა, მანქანის საქარე მინაზე დამაგრებულმა წარწერამ „პრესა“, შარს რომ გადამკიდა. ეს მაშინ მოხდა, როცა აჭარის საპატრულო პოლიციის უფროსი ჯონი ბაკურიძე ორ საათში გაათავისუფლეს სამსახურიდან „TV-25“-ის ჟურნალისტს არაკორექტულად მოექცაო. ჟურნალისტებზე გამწარებულ საპატრულო პოლიციას ბათუმში შუქნიშანზე გაჩერებული მაშინ გადავეყარე, როცა მობილურმა ტელეფონმა დარეკა. დამელოდეთ დაგელაპარაკებით-მეთქი ვუპასუხე და როცა მწვანე შუქი აინთო, მოძრაობა დავიწყე. ამ დროს საპატრულო პოლიციის რაციიდან მესმის, 111, გადააყენეთ ავტომანქანაო. სანამ მარჯვენა რიგში გადავიდოდი და გავჩერდებოდი, ერთი 5-ჯერ მაინც მომაყვირეს, გადააყენეთო. მერე მოვიდა ახალგაზრდა პოლიციელი და მითხრა, უნდა დაგაჯარიმოთ, ტელეფონზე ლაპარაკობდითო. ავუხსენი, მე ამ დროს არ ვმოძრაობდი-მეთქი. — ჟურნალისტი რომ ხარ, იმიტომ არ უნდა დაგაჯარიმოთ? — მითხრა გამომწვევად და ათლარიანი ჯარიმა გამომიწერა. ქვითარზე მისი გვარიც ეწერა — ცინარიძე. ალბათ, ჩემი ჭკუის სწავლებისთვის იგი უკვე დააწინაურეს კიდეც. სამწუხაროდ, თანდათან იკვეთება იმის კონტურები, რომ შეიძლება აჭარის საპატრულო პოლიცია საბჭოთა დროინდელ „სახელმწიფო ავტოინსპექციას“ დაემსგავსოს.

ახლა რადგან ჩემს მანქანას პრესის გამოსაცნობი ნიშანი არა აქვს, ყველას მეც მომიტინგე ვგონივარ. სოფლებში: ნატანებში, მერიაში, ნაღობილევში, გურიანთაში, სოფელ ოზურგეთში ჭიშკრებთან დგანან ბავშვები, მოხუცები, კაცები და ქალები საქართველოსა და ოცნების დროშებით ეგებებიან კოლონას. როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ აქტივისტებს მოსახლეობაში კარგად უმუშავიათ. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ივანიშვილს აქ ამდენი მხარდამჭერი ეყოლებოდა. 5 საათზე ოზურგეთის თეატრის წინ ვარ, მანქანა მეგობრის ეზოში დავტოვე, ეშმაკს არ სძინავს, ჩემი ამერიკელი მეგობრების ნაჩუქარი „ტოიოტა“ ვინმემ არ დააზიანოს. თეატრის წინა მოედანი უკვე ნახევრადაა სავსე. ადამიანები კი ყველა ქუჩიდან მოედინებიან მოედნისკენ. რა იქნება აქ ორი საათის შემდეგ წარმოგიდგენია? — მეკითხება ჩემი ოზურგეთელი ნაცნობი. შვიდი საათისთვის არა მარტო მოედანი, არამედ მიმდებარე ქუჩებიც ხალხით გაივსო. ჩემს გვერდით მდგომი გურულები გათვლებით არიან დაკავებულები.

— აი მოედანი 3000 კვ.მეტრია. ე.ი. მარტო მოედანზე 12000 კაცი მაინც იქნებაო, ამბობს ერთი. ზოგი ეთანხმება, ზოგი არა. მერე იმის დადგენას მოჰყვნენ, რამდენი კაცი იქნება ჭადრების ხეივანში, ეკლესიის წინ და მიმდებარე ქუჩებში. ცხარე კამათისა და ბევრი ანგარიშის შემდეგ შეთანხმდნენ და დაადგინეს — ოცი ათას კაცზე ნაკლები არ იქნებაო. ალბათ, არ შემცდარან. მეც ასე ვფიქრობ.

საზეიმოდ გაიხსნა აქცია. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ხალხი ოვაციით შეხვდა. მან მადლობა გადაუხადა შეკრებილთ დახვედრისთვის და შეპირდა, რომ ვრცელი სიტყვით ბოლოს გამოვიდოდა. თუმცა ეს კი თქვა, „გურულებო, თქვენ ჭკვიანი ხალხი ხართ, ადრე მიხვდით, სააკაშვილი ხეირს რომ არ დაგვაყრიდა. თქვენთვის რომ დაგვეჯერებინა, ასე არ დაგვემართებოდა. 2004 წლის არჩევნებში სააკაშვილმა სწორედ აქ მიიღო ყველაზე ნაკლები ხმა“. მოეწონათ ეს გურულებს და ოვაციით უპასუხეს ორატორს. შეკრებილები კინაღამ ატირდნენ, როცა გაიგეს რომ 13 წლის ივანიშვილი ოზურგეთის უნივერმაღის მშენებლობაზე მუშაობდა, ხოლო 14 წლისა ნასაკირალის ჩაის ფაბრიკაში „გრუშიკი“ იყო. ამის შემდეგ ქეთი დოლიძე მივიდა ტრიბუნასთან და დააქუხა „გურულებო, გეხუტუნეთო“. ამან მთლად გადარია შეკრებილები და ტაშის კვრით ხელები დაიწითლეს. ისიც მოეწონათ, ცნობილმა რეჟისორმა არსებული ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გასტუმრების შესახებ რომ იწინასწარმეტყველა. იგი თემურ ჭკუასელმა შეცვალა. არც მან უგორა კოჭი ნაცმოძრაობას და ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა ხალხს. შემდეგი გამომსვლელი მელექედურის სკოლის ყოფილი დირექტორი ნათელა თოხაძე იყო. დიდი ხანი არაა, რაც იგი სამუშაოდან გაუთავისუფლებიათ, რადგან არსებული ხელისუფლების მიმართ ლოიალური არ ყოფილა. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა პათოსით ისაუბრებდა იგი. ჩვენი სკოლა 1957 წელს აშენდა. დღევანდელი მოსწავლეები სწორედ იმ დროს დამზადებულ მერხებზე სხედან დღესო, დაიჩივლა ყოფილმა დირექტორმა, რაზეც ბიძინა ივანიშვილის დაპირება მიიღო, როცა ხელისუფლებაში მოვალთ, მერხებიც შეიცვლებაო. შემდეგ ტრიბუნა ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა ქეთი დუმბაძემ დაიკავა. შეკრებილები მას თბილად შეხვდნენ. უსაყვარლესი მწერლის შვილიც საყვარელია გურიაში.



დაბოლოს მიკროფონთან ისევ ბიძინა ივანიშვილი მივიდა და განაცხადა, „მე კარგა ხანია მივხვდი, რომ რა სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყო, თუ შენი ქვეყანა გაჭირვებულია, შენ ბედნიერი ვერ იქნებიო“. ამაზე გურულებს თვალზე ცრემლი მოადგათ და დიდხანს უკრავდნენ ტაშს. ივანიშვილმა განსაკუთრებით გამოყო კურორტ ურეკის მნიშვნელობა და განაცხადა „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ურეკი საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტი გახდებაო. მისი დაინტერესება ურეკით არცაა გასაკვირი. იგი ჭაბუკობაში აქ ცხოვრობდა. ახლა ზღვისპირეთის ამ დაბის მკვიდრი მისი ძმა და ძმისშვილები არიან. ურეკში დღესაც ბევრია ბიძინა ივანიშვილის ნაცნობ-მეგობარი. ოცნების ლიდერმა არგუმენტირებულად წარმოადგინა ქვეყანაში უმუშევრობის აღმოფხვრის გზები და ეკონომიკის შესაძლებლობები. შეკრებილებმა ოვაცია გამართეს, როცა ორატორმა განაცხადა, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ შეიქმნება მილიარდლარიანი სოფლის განვითარების ფონდი. აქვე წარმოადგინა პროგრამა, რომლითაც სოფლად სიდუხჭირე აღმოიფხვრება. არ გამორჩენია საპენსიო საკითხი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სასამართლო. ყველა დარგში საქმე წამხდარია და შველა უნდაო.

**ბიძინა ივანიშვილი და გურულები გულთბილად დაშორდნენ ერთმანეთს. აქციაზე მრავლად იყვნენ წარმოდგენილი არამარტო გურიის რაიონებიდან არამედ ფოთიდან, იმერეთის რაიონებიდან, აჭარიდანაც. როგორც ჩემმა ძველმა ბათუმელმა ნაცნობმა ნოდარ სიხარულიძემ მითხრა — ბათუმში ბიზნესი მქონდა, მაიძულეს დამეხურა. უსახსროდ დავრჩი. ბაბუაჩემის ნაქონ მიწაზე წავედი ჩოხატაურში, თავი რომ მერჩინა. ახლა აქ ვარ „ქართულ ოცნებაში“. ასსამოცი მანქანა წამოვიდა დღეს აქციაზე ჩოხატაურიდან. ყველა სავსე იყო ხალხით.**

აქციის დამთავრების შემდეგ ხალხი დიდხანს არ დაშლილა. გურულებს პოლიტიკაზე სასაუბრო მიეცი და მეტი რა უნდათ. ივანიშვილის გამოსვლას აფასებდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, რაც იგი პოლიტიკაში მივიდა, მას მერე დიდად გაიზარდა, როგორც ორატორი და პუბლიკაზე ზემოქმედებაც მშვენივრად გამოსდისო. პირადად მე არ შემიძლია, არ დავეთანხმო გურულებს. მართლაც ასეა. ბიძინა ივანიშვილი აქციიდან აქციამდე იზრდება. თუ ასე გაგრძელდა, ვინ იცის რას იზამს „აი ბალანა“.

**ამირან კილურაძე,**
„სრ“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი

# გურიაში რა გინდოდა, თუ ოცნება არ გინდოდა!

(პირველი გვერდიდან)

**თემურმა ჩვეული გურული იუმორით მადლობა მოახსენა შეკრებილ უშიშარ საზოგადოებას, შეუქო მათ გამბედაობა და ერთსულოვნება, რამდენიმე წინადადებით დაახასიათა „ქართული ოცნების“ გუნდი და მისი ლიდერი... ბოლოს კი დასძინა: თითოეულმა ჩვენგანმა იცის, თუ როდის და რატომ ითქვა ცნობილი ფრაზა — „გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა“... დღეს ეს ფრაზა უნდა შევცვალოთ და თამამად ვთქვათ: გურიაში რა გინდოდა, თუ ოცნება არ გინდოდა!, მაინც, რამდენი მეოცნებე ყოფილხართ აქ, თქვე დალოცვილებო!... გჯეროდეთ, რომ „ქართული ოცნება“ მართლაც ყველა ადამიანურ სურვილს აგისრულებთ!**

**საოცრად უშუალო და შთამბეჭდავი იყო ცნობილი რეჟისორის ქეთი დოლიძის და ლეგენდარული მწერლისა და პიროვნების ნოდარ დუმბაძის ქალიშვილის ქეთევან დუმბაძის გამოსვლები. გურული ცეცხლი დაანთო მელექედურელმა ყოფილმა პედაგოგმა (სკოლის დირექტორმა) ნათელა თოხაძემ.**

**ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „ქართული ოცნების“ მთავარ პრიორიტეტებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აუცილებლად შეამცირებს კომუნალურ გადასახადებს, აამაღლებს საარსებო მინიმუმს და შესაბამისად — პენსიებს, უზრუნველჰყოფს საყოველთაო უფასო სამედიცინო დაზღვევას, შექმნის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთმილიარდიან ფონდს, აღადგენს და განავითარებს მრეწველობის გაპარტახებულ დარგებს და ყველას მისცემს იმის საშუალებას, რომ საკუთარი მარჯვენით არჩინოს შვილები და შვილიშვილები.**

**„ქართული ოცნების“ მთავარი მიზანია, არა ვინმეს დამარცხება, არამედ საქართველოს, ქართველი ხალხის გამარჯვება! — თქვა ბოლოს ბიძინა ივანიშვილმა და გურიაში მაჟორიტარებად, თემურ ჭკუასელთან ერთად წარადგინა დიპლომატი ზვიად კვაჭანტირაძე (ოზურგეთში), ცნობილი ფეხბურთელი თემურ ჩხაიძე (ლანჩხუთში). ბუნებრივია, „ქართული ოცნების“ ლიდერის გამოსვლას ოვაციები და გულწრფელი შეძახილები მოჰყვა. მიტინგი ერთ საათში დამთავრდა. მორიგი შეხვედრა მცხეთა-მთიანეთში გაიმართება.**

სპარტაკ ქობულია,
ოზურგეთი — თბილისი.

ბრიფინგი

# „კოალიციაში არანაირი დაპირისპირება არ არსებობს“



„ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ტრადიციულ ბრიფინგზე მადლობა გადაუხადა გურულებს და ოზურგეთის 17 ივნისის აქცია ყველა დროის ყველაზე დიდ აქციად მოიხსენია. გურულები აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო გურიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაო.

სამივე რაიონში მაჟორიტარებიც დასახელდა. ჩოხატაურში – თემურ ჭკუასელი, ოზურგეთში – ზვიად კვაჭანტირაძე, ლანჩხუთში – თემურ ჩხაიძე.

„სამივე კანდიდატურა ხალხმა ძალიან კარგად მიიღო. იმედი მაქვს, რომ ისინი უკვე დღეიდან მუშაობას დაიწყებენ გურიის რეგიონში და წარმატებას მიაღწევენ“, – დასძინა ფანჯიკიძემ.

მან აღნიშნა, რომ წინა კვირაში ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული სამი პროცესი გაიმართა. აქედან ერთი უკავშირდებოდა ბიძინა ივანიშვილისთვის უკანონოდ ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენის, ხოლო დანარჩენი ორი პროცესი კი მისი დაჯარიმების საკითხს.

„აშკარაა, რომ სასამართლო ჭიმავს განხილვის ვადებს, რათა შეასრულოს მიხეილ სააკაშვილის სურვილი და ბიძინა ივანიშვილმა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოქალაქის სტატუსით მონაწილეობა ვერ მიიღოს. სწორედ ამიტომაც კარგად გვესმის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო ვერ შეძლებს ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს, ისევე როგორც სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო ბიძინა ივანიშვილისთვის პოლიტიკური მოტივაციით დაკისრებული არნახული ჯარიმის – 148,6 მილიონი ლარის ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვეტა“.

სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებები და ბიძინა ივანიშვილისადმი დაკისრებული ჯარიმების რაოდენობა, დაახლოებით 150 მილიონი ლარი 65 მილიონ ლარამდე შეამცირა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, სააპელაციო სასამართლოში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, პროცესები ძალზე მძიმე საპროცესო დარღვევით წარიმართა. „რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ივანიშვილის ადვოკატების დასაბუთებული შუამდგომლობები სასამართლოში მთელი რიგი მოწმეების მოწვევისა და დაკითხვის, სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის ავტორებისთვის დამატებითი შეკითხვების დასმის, საქმის მასალებიდან კონტროლის პალატის მიერ წარმოდგენილი აშკარა ცრუ ფაქტებისა და შეფასებების შემცველი მტკიცებულებების ამოღების შესახებ...

საქართველოს და შესაძლოა, დემოკრატიული სამყაროს მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად უპრეცედენტოდ მოკლე დროში, სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში, პირს დაეკისრა უპრეცედენტოდ დიდი და უკიდურესად არაპროპორციული სანქცია ისეთი ქმედებებისთვის, რომელთა დამამტკიცებელი საბუთები საქმეში არ მოიპოვება.

საქმეში ჩაერთვებიან საერთაშორისო ადვოკატები, რადგან ეს არის ძალიან სერიოზული საქმე და საფუძველს იძლევა იმისას, რომ, რაც მოგახსენეთ, გამყარდეს“, დასძინა მაია ფანჯიკიძემ.

პრესსპიკერს კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი სესიაშვილისა და მისი მეგობრის ზაზა ჭელიძესთან დაკავშირებული ამბავი დეტალურად არ განუხილავს.

„ჩვენთვის არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს არის რაღაც მიზნებით ხელისუფლების მიერ შეთითხნილი საქმე, რომელიც ასევე ბინძური პროვოკაციაა... ერთი რამ უნდა ვთქვა – „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება არავის მოსყიდვა, არანაირ ბინძურ საქმეში გახვევა იმისთვის, რომ რაიმე სახის ინფორმაცია მოიპოვოს. ჩვენ იმაზე მეტ ინფორმაციას ვღებულობთ, ვიდრე საჭიროა, და ამ ინფორმაციას ძალიან ხშირად ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები გვაწვდიან. ისინი საკუთარი ნებით მოდიან და გვატყობინებენ ყველა იმ ფაქტს, რომლებიც, მათი აზრით, ყურადღებას იმსახურებენ და ჩვენთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. აქედან გამომდინარე, სხვა არანაირი დამატებითი ძალისხმევა არ გვჭირდება იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა განწყობაა ხელისუფლებაში და რას ფიქრობენ თუნდაც იგივე პოლიტიკაში ან სხვა სახელისუფლებო უწყებაში არათუ ჩვეულებრივი დაბალი რანგის, არამედ ძალიან ხშირად საშუალო და მაღალი რანგის მოხელეები“...

იხ. 7 გვ.

# ეშინოდეს იმას, ვისაც უნდა ეშინოდეს!

ძვირფასო თანამემამულენო, მოდით, შევეცადოთ, გავუკეთოთ ანალიზი ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და შემდეგ გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამჟამად ქვეყანა ორ ბანაკადაა გაყოფილი.

პრეზიდენტის მომხრეები და, ასე ვთქვათ, „დანარჩენები“. ნუ გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, თუ ვის რამდენი უჭერს მხარს, ეს კარგა ხანია, ცნობილია.

მივყვეთ თანმიმდევრულად:

რა პრიორიტეტები აქვს არჩეულ ხელისუფლებას და რას პირდება ის მომავალში ხალხს.

**ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;**
**ნატოში შესვლა;**
**სოფლის მეურნეობის აღორძინება;**
**ჯანდაცვის გაუმჯობესება და დაზღვევა.**

ვფიქრობ, რომ ამ საკითხების ანალიზი სრულიად საკმარისი იქნება ნათელი სურათის მისაღებად, თუ რასთან გვაქვს საქმე.

1. მოგეხსენებათ, **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა** უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ქვეყნისთვის და ყველა ჩვენგანის ყველაზე დიდი სატკივარი.

როგორ აპირებს ხელისუფლება ამ საკითხის მოგვარებას? ამ თემაზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მედიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ. უმთავრესი პრობლემაა რუსეთი, რომელმაც მის მიერვე ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები განათავსა, მოსახლეობას მისთვის მისაღები ფორმისა და შინაარსის პასპორტები დაურიგა და ბევრი რომ არ გავაგრძელო, რაც სურდა, ის აკეთა. ჩვენმა ხელისუფლებამ თავიდანვე ჩართო პროცესში მსოფლიო თანამეგობრობა, რომლებმაც შეაჩერეს რუსეთის აგრესია, შემდგომში მაღალ ინსტანციებში გამართულ სამიტებზე იგი აგრესორადაც აღიარეს და დროდადრო იმასაც ახსენებენ, რომ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების საფუძველზე რუსეთმა ჯარები უნდა გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან. მერე, რა მერე? არც არაფერი. რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ამჯერად მის მიერვე აღიარებული „ქვეყნების“ ხელისუფალთა მოთხოვნით „იცავს“ ამ ქვეყნების სუვერენიტეტს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ რუსეთის პირველი დიპლომატი და თავად პრეზიდენტიც კატეგორიულად აცხადებენ, რომ სანამ მისი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, ამ საკითხზე საუბარი საქართველოსთან, არ შედგება. დამეთანხმებით ერთობ შეურაცხმყოფელია, მაგრამ რეალობა ასეთია. ამ დროს რას აკეთებს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პრეზიდენტი, ის შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ არ გალანძღოს და არ გათათხოს რუსეთის ხელისუფლება, არ დაამციროს მათი ეკონომიკა, თუ როგორ შურთ მათ ჩვენი მიღწევების. ამის შესახებ პრეზიდენტი თავადაც ურცხვად უყვება არა მარტო თავის მოსახლეობას, არამედ ყველას, სადაც კი ხელი მიუწვდება, არადა მოგეხსენებათ, ამის შესაძლებლობა მას საკმაოდ დიდი აქვს. ამ დროს ამერიკის მთავრობა ევროპა და მთელი ცივილიზებული სამყარო გამუდმებით უჩიჩინებს საქართველოს – „დაალაგეთ ურთიერთობები რუსეთთან“. ამ დროს, ცხადია, არავის არა აქვს იმის ილუზია, რომ საქართველოს გამო ვინმე რუსეთს სამხედრო ძალით დაუპირისპირდება. მაშ, რა დარჩა? მხოლოდ დიალოგი, რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთანაც, თუმცა ამ დიალოგისათვის საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად უნდა მოემზადოს, რათა ახლადგამოჩეკილი კვაზიქვეყნებისათვის რაღაცით მაინც გახდეს მიმზიდველი. მზად არის ამისათვის ჩვენი ხელისუფლება? არა და, ცხადია, არა, პირიქით, მან ეს ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა და დღითი დღე შორდება მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

2. **ნატოში შესვლის სურვილი** კარგა ხანია საქართველოს მოსახლეობამ რეფერენდუმით დაადასტურა და ქვეყნის უსაფრთხოების პრიორიტეტადაც მიიჩნია, მაგრამ მოდით, ვნახოთ რა შანსები გვაქვს ამის მისაღწევად. ნატოში შესვლის მსურველმა ქვეყნებმა უნდა დააკმაყოფილონ რიგი მოთხოვნები, რომელთა რიცხვშიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც შედის (აღარ ვლაპარაკობ იმ „დემოკრატიულ“ რეფორმებზე, რომელიც სასამართლოს, მედიასა და სხვა იმ საკითხებს ეხება, რომლებიც საქართველოს მთავრობას ლამის მასხრადა აქვს აგდებულიძ. თუ საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად უნდა გახდეს ნატოს წევრი (ჩავთვალოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმები ჩატარებული აქვს მაღალ დონეზეძ, რამდენადაც მის ტერიტორიაზე განლაგებულია უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები, მან მშვიდობიანი გზით უნდა დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები ან აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა;

პირველი პუნქტის შემსრულებელი ჩვენი ხელისუფლება რომ არ არის, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი, რაც შეეხება მეორე პუნქტს, ამის უფლებას მას არავინ მისცემს, არა მარტო საკუთარი ხალხი, არამედ მსოფლიო თანამეგობრობაც, რომლებმაც არაერთხელ დაუჭირეს მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

3. **სოფლის მეურნეობის აღორძინებას** ხელისუფლება თავისი მოღვაწეობის მე-9 წელს რომ დაიწყებს, მაშინ, როცა მანამდე „გეგმაზომიერად“ ანადგურებდა მას – გაყიდა ტყეები, სავარგულები, საძოვრები და ახლა რეფორმების ჩატარებას აპირებს... ამაზე ხმის ამოღება სამარცხვინოა. ამას წინათ, აპრილის თვეში, ერთ-ერთ რაიონში მომიწია ყოფნა, სადაც, რაიონის ცენტრში ახალთახალი სამი ტრაქტორი იდგა გვერდიგვერდ, გაკრიალებულ-გაწკრიალებული, ზედ ერთი ნამცეცი ტალახიც კი არ ჰქონდა მოცხებული. გაკვირვება ვერ დავმალე (ისე შესახედავად ნამდვილად კარგი იყო და ალბათ, ახლაც ამშვენებს რაიონულ ცენტრსძ. ერთი გოჯი მიწაც ვერ ვიპოვე მოხნული და დამუშავებული. ასე აპირებენ ესენი სოფლის მეურნეობის აღორძინებას, თუ მათ მიერ აჩემებული სიმინდის თესლით შემოსული მილიონების დაბანდებით ფიქრობენ ფონს გასვლას? არ ვიცი; ისე, ამისათვის ერთხელ მაინც რომ მოეხადა ვინმეს ბოდიში საკუთარი ხალხისათვის, არ იქნებოდა ურიგო, ბოდიშის მოხდაც ხომ ერთგვარი ვაჟკაცობაა?!

4. **ჯანდაცვის გაუმჯობესება და დაზღვევა.** ამ საკითხზე უამრავი პოლემიკა იმართება ტელევიზიაშიც და პრესაშიც. აუცილებელი არ არის იყო მედიკოსი და იცნობდე ჯანდაცვის სფეროს, რომ ანალიზი გაუკეთო ხელისუფლების სურვილს, გაატაროს ძირეული რეფორმები მოსახლეობის საკეთილდღეოდ. დალოცვილო, ეს დაზღვევა და პენსიების მომატება რაღა მაინცადამაინც 2012 წლის სექტემბრის თვეს დაუმიზნე. რა, მანამდე მოსახლეობა ნამეტანი ჯანმრთელად, ხოლო პენსიონერები ერთობ მაძღრად გამოიყურებოდნენ? არჩევნები რომ ერთი წლით გადატანილიყო, მაშინ რა ეშველებოდა ამ ხალხს. ეს რომ დაინახო, აუცილებელი არ არის მედიკოსი იყო-მეთქი, მოგახსენებდით, საერთოდ არც რეფორმების ჩატარებისათვისაა საჭირო რაიმეს ცოდნა, რა, მეცნიერი შაშკინმა ვერ ჩაატარა განათლების სისტემაში რეფორმა, რომელიც მანამდე „პროფესიონალმა პედაგოგმა“ ლომაიამ დაიწყო, ან სხვა დარგებში ცოტაა ასეთი „უნიკალური“ მაგალითები? სწორედ ამიტომაა დაუჯერებელი ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ ორგანიზებული რეფორმის წარმატება, კაცისა, რომელმაც ადრე ქართვლის დედის სიმბოლური ძეგლის შეურაცხყოფაც კი გაბედა.

მოდით, გავუსწოროთ თვალი სიმართლეს, გვერდზე გადავდოთ ყოველივე პირადული და პარტიული ინტერესები, ვთქვათ გულწრფელად, **შეიძლება ამ ხალხის ხელისუფლებაში დარჩენა?** როდემდე უნდა ვიცხოვროთ სიცრუეში, ვითმინოთ დამცირება და ვუყუროთ ზოგიერთების ცინიზმსა და ირონიას. არავის ეგონოს, ამით მარტო ოპოზიციაა შეურაცყოფილი,

ხალხით მანიპულირება საშიში გასართობია. **ხალხი შეიძლება შეცდეს, მაგრამ ძნელია მისი მოტყუება.**

**ძვირფასო მეკითხველებო!**

**მოგმართავთ ყველას, განურჩევლად თქვენი პოლიტიკური შეხედულებისა და პოზიციისა. მე მწამს, რომ თქვენ უშიშარი და ერთგული ადამიანები ხართ და ყველას გიყვართ ჩვენი სამშობლო და სწორედ ეს მაბედვინებს მოგმართოთ მე, როგორც ერთ-ერთმა თქვენგანმა. ის, რაც ამჟამად ქვეყანაში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა შიშის სინდრომი და სწორედ ის გაუჩნდათ იმ ადამიანებს, ვინც ხვდება, რომ იმაზე მეტი დაუშავა თავის ხალხს, ვიდრე ამის უფლება ჰქონდა. ეს ერთი მუჭა ხალხი ცდილობს მთელი თავისი ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს, რათა არ დაუშვას ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა. განა არ გვინახავს ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორ ხდება ხელისუფლების ცვლა? როგორ გულთბილად ულოცავს გამარჯვებას ოპონენტს დამარცხებული გუნდი? განა რა შეიქნა ასეთი უსაშველო? სწორედ ასე უსწორდებიან ოპონენტებს რუსეთში, რეპრესიებით, დარბევებითა და დაპატიმრებებით. მოგწონთ ასეთი გზა? ჭადრაკში უამრავი ფიგურაა და ყველას თავისი ფუნქცია აქვს, მაგრამ, როდესაც ყველა მძიმე ფიგურის როლს ერთი ასრულებს, იქ პაიკები არაფერ შუაშია. ამიტომ ყველამ უნდა მოიცილოს სულ მცირეოდენი შიშის გრძნობაც კი, რადგან სწორედ მაგ შიშმა შეიძლება დააპირისპიროს ხალხი ერთმანეთს. ეს ბარიერი უნდა დავძლიოთ, ბოლოს და ბოლოს, ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას რისი უნდა ეშინოდეს?!**

**თუ შიშია, ეშინოდეს იმას, ვისაც უნდა ეშინოდეს!**

გიორგი კოდმელი

# ამერიკული გია ხუხაშვილის

მართალია, გია ხუხაშვილი ხუმრობს, მე კი არა, ჩემს ძაღლს უსმენენო, მაგრამ აბა მის ძაღლს ჰკითხეთ! – სულაც არა აქვს საქმე სახუმაროდ და სახალისოდ!

როგორი ამბავია, შენ ივანიშვილის ძაღლთან საქმე გქონდეს, შენს თავზე ბინა გატეხონ, მოსასმენი აპარატურა დაამონტაჟონ და სკანდალი ორიოდე სატელევიზიო სიუჟეტს, სამიოდე საგაზეთო ნიუსს და შენი პატრონის მახვილგონივრულ კომენტარს არ გასცდეს!

ხუმრობა იქით იყოს და, ეს ამბავი რომ გავიგე, მეგონა, მეორე დღეს საინფორმაციო სივრცე აფეთქდებოდა. მეგონა კი არა, დარწმუნებული ვიყავი, რომ უჯიხუროდ დარჩენილი გაზეთები, უთიფშებოდ დატოვებული ტელევიზიები და მარშუტკებიდან გრძელი ენასავით ამოგდებული რადიოები მხოლოდ ამაზე ილაპარაკებდნენ.

ის, რაც ყველა წესიერ ქვეყანაში უეჭველ პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევდა, ჩვენში უფრო ნაკლებსაინტერესო და ნაკლებრეზონანსული გამოდგა, ვიდრე, ვთქვათ, შიგ „არტილერიაში" გათხრილი ჩანგალი.

როგორც ჩანს, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის და არავითარი გამოძიება საჭირო არ არის, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ საქართველო არ არის წესიერი ქვეყანა და საქმე არათუ პოლიტიკურ კრიზისამდე ან სასამართლომდე, უბრალო სატელევიზიო დებატებამდეც არ მივა.

არადა წესიერი, საქართველო საერთოდაც არ არის ქვეყანა. საქართველო იდეაა. წინაპრების სადღეგრძელო, დაბრუნებული აფხაზეთი, ქურდული კარგავებული ნატოს კარი, მოგებული ომი, აღმოფხვრილი კორუფცია, სასამართლოს და განათლების რეფორმები, სტუდენტური თვითმმართველობა, ანაკლია, ლაზიკა, ჩეკების გათამაშება და ათ მილიონი ტურისტი მომავალი წლისთვის. კიდევ – 75 მილიონი ჯარიმა დღესვე, „პროსტა" ისე. კიდევ – შუშისლიფტიანი ბაგრატის ტაძარი, მწვანე კომბინეზონივით წამოცმული კონსტიტუცია, ახალგაზრდული რუსთაველის პრემია, განათებული ქალაქები და გვირაბი სინათლის ბოლოს. ბნელი გვირაბი.

საქართველო შედგაო, უყვართ ხოლმე აკო მინაშვილს და ჩიორა თაქთაქიშვილს პრეზიდენტის სიტყვების გამეორება. დიახ შედგა, მართლა შედგა, როგორც შედგება ხოლმე ტანსაცმელი, თუ პატრონი მისი გარეცხვის წესებს არ დაიცავს. ქვეყანა დაპატარავდა, დაიმცრო, დაკნინდა... მოკლედ, – შედგა.

კალამბური – კალამბურად, ხოლო მართლა შემდგარ ქვეყანაში ბიძინა ივანიშვილის ძაღლთან დაახლოებული ქათქათა მალტეზეს ასე უტიფარ მოსმენას ხელმოსაკიდი რამ შედეგი თუ არა, მკვეთრი რეაქცია მაინც მოჰყვებოდა.

მალტეზე ძაღლის ჯიშია. მდაბიურად მალტური ბალონკა ჰქვია.

ღმერთმანი, არ მინდოდა ამ ფიფქიასავით უმანკო და საყვარელი არსების პოლიტიკაში გარევა, მაგრამ თავად გია ხუხაშვილმა ისურვა ასე და მე რა უნდა ვქნა :)

ისღა დამრჩენია, რაკი ყველა დანარჩენმა ყველაფერი იცის, ამ უწყინარი ფიფქიას გასაგონად გავიხსენო, თუ რა მოხდა ერთხელ ამერიკაში – დასტურ შემდგარ ქვეყანაში!

რა მოხდა და, სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში სწორედ ამგვარი მოსმენის მცდელობის გამო ამერიკის ხელისუფლება ისეთმა მწვავე კრიზისმა მოიცვა, მის დასაძლევად პრეზიდენტის გადადგომა გახდა საჭირო.

მე არასოდეს მინახავს გია ხუხაშვილის მალტეზე. „სამაგიეროდ", მინახავს სასტუმრო „უოტერგეიტი" ვაშინგტონში და შემიძლია ყოველგვარი ვარაუდის გარეშე ვამტკიცო, რომ რაგინდ ჯიშიანი და მოვლილი არ უნდა იყოს გია ხუხაშვილის ძაღლი, მას „უოტერგეიტში" არავინ შეასუნინებს. გია ხუხაშვილის ძაღლი კი არა, „უოტერგეიტში" ნანუკა ჟორჟოლიანის ჩიტიც ვერ შეფრინდება. ალბათ, სწორედ ამიტომ შეარჩიეს 1972 წლის არჩევნების წინ ამერიკელმა დემოკრატებმა ეს პრესტიჟული სასტუმრო თავიანთ საარჩევნო შტაბ-ბინად. თუმცა იმ ხუთმა მაინც შეაღწია. მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება სურდათ. მხოლოდ სურდათ. მაგრამ მოახერხეს. გასკვანჩეს და მერე ისე მოხდა, რომ ამ ამბავს ქვეყნის პრეზიდენტი გადაჰყვა.

საოცარი დამთხვევაა, დღეს, როცა გია ხუხაშვილის მალტეზეს გასაგონად ძველ ამბებს ვიხსენებ, თბილისში 17 ივნისის ამინდი დგას. ხოლო იმ დღეს, როცა ეს ამბები დაიწყო, 17 ივნისის ამინდი ვაშინგტონში იდგა. ეს მოხდა ზუსტად 40 წლის წინათ.

ხოლო მეორე დღეს, 1972 წლის 18 ივნისს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა ორი ახალგაზრდა რეპორტიორის – ბობ ვუდვარდისა და კარლ ბერნსტაინის ნიუსი „უოტერგეიტში" მოსასმენი აპარატურის დამონტაჟების მიზნით შესული ხუთი ადამიანის დაკავების შესახებ. ამან სათავე დაუდო საგაზეთო პუბლიკაციათა სერიას, რამაც საბოლოო ჯამში „ვაშინგტონ პოსტს" პულიცერის პრემია, ხოლო ქვეყანას ახალი პრეზიდენტი მოჰგვარა.

იმ დროს „ვაშინგტონ პოსტის" გამომცემელი იყო კეთრინ მეიერ-გრეჰემი, მთავარი რედაქტორი – ბენ ბრედლი, ხოლო ამერიკის პრეზიდენტის სავარძელში რიჩარდ ნიქსონი იჯდა. ნიქსონი ერთადერთია ამერიკის პრეზიდენტთაგან, ვინც თავისი ნებით დატოვა პოსტი.

თუმცა რაღა თავისი ნებით! არ დატოვებდა და დაატოვებინებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ის მეორე ვადითაც აირჩიეს და ჟურნალისტური გამოძიებაც, სასამართლოსი არ იყოს, 1974 წლამდე გაიწელა, უკვე დაწყებული იყო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა.

აი, სწორედ ეს ამბავი უკავშირდება სასტუმრო „უოტერგეიტს", უფრო სწორად – არა თავად სასტუმროს, არამედ ვაშინგტონის ცენტრში მდებარე ფეშენებელურ შენობათა კომპლექსს, რომელსაც ასევე „უოტერგეიტი" ჰქვია და რის გამოც ყველაფერი ის, რაც პრეზიდენტის გადადგომით დასრულდა, „უოტერგეიტის სკანდალით" არის ცნობილი. დღეს ამ სიტყვას ყოველგვარი წინწკლების გარეშე ხმარობენ – უოტერგეიტი დიდი პოლიტიკური სკანდალის ერთგვარ სინონიმად იქცა. მას მერე სხვა დიდ სკანდალებსაც ამ სიტყვის მეორე ნაწილით გააფორმებენ ხოლმე – „ირანგეიტი", „მერდოკგეიტი", „ბლადგეიტი" და სხვა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უოტერგეიტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამერიკის ისტორიაში. ეს იყო ამერიკის სახელისუფლებო სისტემისა და პრესის მიერ მთელი მსოფლიოსათვის ჩატარებული ბრწყინვალე გაკვეთილი, რომელსაც მრავალი ქვეყნის მრავალზე მრავალი პოლიტიკოსი, სამწუხაროდ, ვერ ითვალისწინებს.

ეს პოლიტიკურ-დეტექტიური ტრილერი წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე განვითარდა. მოქმედი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი დემოკრატების კანდიდატს ჯორჯ მაკგოვერნს უპირისპირდებოდა და, როგორც გაირკვა, საამისოდ ბინძური მეთოდების გამოყენებაზეც არ ამბობდა უარს.

> *სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში სწორედ ამგვარი მოსმენის მცდელობის გამო ამერიკის ხელისუფლება ისეთმა მწვავე კრიზისმა მოიცვა, მის დასაძლევად პრეზიდენტის გადადგომა გახდა საჭირო.*

საზოგადოდ ცნობილია საარჩევნო კამპანიის წარმართვის ნიქსონისეული სტილი – ხელაღებით დაადანაშაულოს მოწინააღმდეგე კომუნისტობაში. „რა თქმა უნდა, მე ვიცოდი, რომ ის არ იყო კომუნისტი, მაგრამ მე უნდა გამემარჯვა", – იტყვის მოგვიანებით ნიქსონი ჯერი ვუჰრისზე, კალიფორნიელ კონგრესმენზე, რომელიც მან 1947 წლის არჩევნებში დაამარცხა. მაშინ ნიქსონი 34 წლისა იყო. 37 წლისა იგი უკვე სენატორი გახდა. 40 წლისა დუაიტ ეიზენჰაუერის ორვადიანი პრეზიდენტობისას ასევე ორჯერ იყო არჩეული ვიცე-პრეზიდენტად. მერე იგი ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტად. იგი ამ მხრივაც ერთადერთია, ორჯერ ვიცე და ორჯერ პრეზიდენტი სხვა არავინ ყოფილა, მაგრამ მის მეორე ვიცე-პრეზიდენტობასა და პრეზიდენტობას შორის საკმაოდ დიდი დროა – მთელი რვა წელიწადი, ისე რომ მან პრეზიდენტის სავარძელში ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მისი მემკვიდრე ლინდონ ჯონსონი შეცვალა.

უოტერგეიტის სკანდალი კი იმით დაიწყო, რომ „უოტერგეიტის" დაცვის ერთ-ერთმა წევრმა – ფრენკ უილსმა შეამჩნია, როგორ შეიპარნენ დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის ოფისში უცხო პირები, და პოლიცია გამოიძახა. პოლიციამ ხუთი ჯეელი დაიჭირა: ვირხილიო გონსალესი, ბერნარდ ბარკერი, ჯეიმს მაკკორდი, ეუხენიო მარტინესი და ფრენკ სტერჯისი. ერთი მათგანი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი გამოდგა, სამი – ამ სამსახურთან იყო დაკავშირებული ფიდელ კასტროს საწინააღმდეგო მოძრაობის მეშვეობით, ერთი კი ელექტროტექნიკის სპეციალისტი გახლდათ.


სასტუმრო „უოტერგეიტი" ვაშინგტონში

საზოგადოებაში იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ უოტერგეიტის საქმეში მაღალი, უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები იყვნენ ჩარეული. მართლაც, გამოძიებამ დაადგინა, რომ დემოკრატთა ოფისში იმ ხუთეულის უკანონო შეღწევა თეთრი სახლის თანამშრომლების – ჰოვარდ ჰანტისა და გორდონ ლიდის დავალებით მომხდარა. გაირკვა ისიც, რომ ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა. მანამდე, 28 მაისს ამ გუნდს მოსასმენი აპარატურა ჩაუმონტაჟებია დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ლარი ო' ბრაიენის ტელეფონში. ამ ყველაფრის საქმის კურსში ბრძანდებოდა პრეზიდენტის საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი გენერალური პროკურორი ჯონ მიტჩელი.

საზოგადოების ინტერესი კიდევ უფრო გაალვივა ვუდვარდისა და ბერნსტაინის ჟურნალისტურმა გამოძიებამ, რომელიც ძირითადად ანონიმურ წყაროებს ეყრდნობოდა. მათგან მთავარის – „დიფთროუტის" სახელით ცნობილი იდუმალი პიროვნების ვინაობა მხოლოდ 2005 წელს გახდა ცნობილი. იგი გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე მარკ ფელტი გამოდგა. მოგვიანებით ვუდვარდი მას ცალკე წიგნს მიუძღვნის – „საიდუმლო კაცი".

7 ნოემბერს ნიქსონი მეორე ვადით კი აირჩიეს, მაგრამ სკანდალი აგორდა და აგორდა. 1973 წლის იანვარში ის ხუთეული გაასამართლეს. გაზაფხულზე სენატმა უოტერგეიტის საქმის საგამოძიებო კომიტეტი შექმნა. ამ კომიტეტის მოსმენათა რეპორტაჟებმა ტელემაყურებელთა რაოდენობის ყველა რეკორდი მოხსნა.

სამართალი ის იყო პურის საჭმელად უნდა დამჯდარიყო, რომ ნიქსონმა გაცლა არჩია. ჭკვიანურადაც მოიქცა. მას ველარც ის ისტორიული ამბავი უშველიდა, ვიეტნამის ომს რომ წერტილი დაუსვა. 9 აგვისტოს, დღის 12 საათზე პრეზიდენტი გადადგა და ვიცე-პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა იმავე წუთს საპრეზიდენტო ფიცი დადო. ფორდი ერთადერთი პრეზიდენტია ამერიკის ისტორიაში, რომელსაც არც საპრეზიდენტო არჩევნებში მიუღია მონაწილეობა და არც ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე უყრია კენჭი.

– როგორც იქნა, ეს საშინელი კოშმარი დამთავრდა! – თქვა ჯერალდ ფორდმა 8 სექტემბერს, როცა გამოიყენა რა შეწყალების საპრეზიდენტო უფლება, განაცხადა, რომ პატიობდა ნიქსონს მის ყველა დანაშაულს, გამოაშკარავებულსა თუ დაფარულს.

ვუდვარდ-ბერნსტაინის ის ჟურნალისტური გამოძიება კი ყველა დროის საუკეთესო საგაზეთო რეპორტინგად არის მიჩნეული. უოტერგეიტის სკანდალი უთვალსაჩინოესი კეისია ამერიკის უმაღლეს ჟურნალისტურ სკოლებში. ჩვენშიც ისწავლება. ის კი არა, თუ არ ვცდები, საქართველოში დისერტაციაც დაიცვეს უოტერგეიტის თემაზე.

მერე ვუდვარდმა და ბერნსტაინმა წიგნი დაწერეს ამ სკანდალის შესახებ – „პრეზიდენტის მთელი ამალა", რომელიც უმალ იქცა ბესტსელერად. მალე ამ წიგნის მიხედვით რეჟისორმა ალან პაკულამ ფილმიც გადაიღო. ვუდვარდს რობერტ რედფორდი თამაშობს, ბერნსტაინს – დასტინ ჰოფმანი. ეს ფილმი თუმცა მხატვრულია, მთლიანად დოკუმენტურ მასალაზეა აგებული, იქამდე, რომ ფრენკ უილსის როლს თავად ფრენკ უილსი ასრულებს. ფილმი საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნამდვილი სახელმძღვანელო და ჭკუის სასწავლი რამ გახლავთ არა მარტო ჟურნალისტიკაში მოფუსფუსე თუ ფუსფუსის მსურველი გოგო-ბიჭებისთვის, არამედ ჟურნალისტიკის ასებისთვისაც.

უოტერგეიტის კეისის გავლისას, რამდენჯერმე მოვინდომე, სტუდენტებისთვის მეჩვენებინა ეს ფილმი, მაგრამ ქართულად ვერსად მოვიძიე. არც ვიცი, საერთოდ არის თუ არა ქართულად. რუსულად და ინგლისურად კი დიალოგებზე აგებული ეს ფილმი ქართველ სტუდენტებს არ ესმით. ჩვენი განათლების რეფორმატორებმა საქართველოს რუსული კი დაავიწყეს წარმატებით, მაგრამ ინგლისური ვერ შეასწავლეს, და არიან ახლა ახალგაზრდები ასე, ქართული თუ გაქართულებული ტელესერიალების ანაბარა!

ვუდვარდი და ბერნსტაინი მე 1981 წელს გავიცანი, ბრეჟნევ-რეიგანის პერიოდში, როცა საბჭოთა ჟურნალისტების მოზრდილი ჯგუფის შემადგენლობაში „ვაშინგტონ პოსტს" ვეწვიე. ისინი უკვე მაშინ ლეგენდად იყვნენ ქცეული. ძალიან მოჰქონდათ თავი და სავსებით სამართლიანადაც: როგორი ამბავია, მათს პუბლიკაციებს ამერიკის პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა!

ჩვენი ის ვიზიტი მრავალმხრივ იყო ჩემთვის დასამახსოვრებელი. მაშინ პირვე-

# გაკვეთილი ძაღლისათვის

ლად ვნახე პერსონალური კომპიუტერი, პირველად ვნახე ფოტოწყობის ტექნოლოგია, პირველად ვნახე ნამდვილი ნიუსრუმი, პირველად ვეწვიე ისეთი გაზეთების რედაქციებს, როგორიცაა „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ქრისჩნ საიენს მონიტორი“ და „ვაშინგტონ პოსტი“, პირველად გავიგე საგამოძიებო ჟურნალისტიკის არსებობის ამბავი, პირველად გავიცანი ნამდვილი ამერიკელი ჟურნალისტები.

„ვაშინგტონ პოსტის“ გამომცემელი უკვე დონალდ გრეჰემი გამხდარიყო – კეტრინის შვილი, მთავარი რედაქტორის პოსტზე კი ისევ ბენ(ჯამენძ ბრედლი იყო.

(ბრედლი! როგორ შეიძლება ამ გვარის გაგონებაზე ადამიანს გრეგორი პეკის ჯო ბრედლი არ გაგახსენდეს „რომაული არდადეგებიდან“! ჯო ბრედლის სახე, მისი პროფესიონალური თვისებები, ადამიანური მომხიბვლელობა და ზნეობრივი სიმაღლე იყო ის მთავარი, რამაც საბოლოოდ ჟურნალისტობა გადამაწყვეტინა. გია ხუხაშვილის ფიფქია ვერც კი წარმოიდგენს, რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როცა თბილისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის შესავლის პირველსავე ლექციაზე სახელოვანმა ძმისშვილმა ჟურნალისტიკა მეორე უძველეს პროფესიად გაგვაცნო პირველკურსელებს!ძ

დიდი იყო ბენ ბრედლის როლი საუკუნის სკანდალის აგორებასა და ვუდვარდ-ბერნსტაინის ჟურნალისტური გამოძიების წარმართვაში. გარდა იმისა, რომ ამ ჟურნალისტური გამოძიებისათვის გაზეთმა პულიცერის პრემია დაიმსახურა, ბრედლიმაც, ვუდვარდმაც და ბერნსტაინმაც სხვადასხვა დროს პერსონალურადაც მიიღეს ამერიკული ჟურნალისტიკის ეს უმაღლესი ჯილდო.

ბრედლი იმ პერიოდში ვაშინგტონში არ ყოფილა და გაზეთის რედაქციამ საბჭოთა ჟურნალისტებს თავისი ორი ფალავანი – ბობ ვუდვარდი და კარლ ბერნსტაინი შეგვახვედრა. „პრეზიდენტის მთელი ამალის“ მერე მათ მეორე წიგნიც გამოეცათ – „ფინალური დღეები“. ორივეში ვრცლად და დაწვრილებით იყო მოთხრობილი მათი ჟურნალისტური გამოძიების ისტორია. ჩვენც კარგა ხანს გვიამბობდნენ უოტერგეიტის დეტალებზე, პოლიტიკურ კულუარებზე, ჟურნალისტურ სამზარეულოზე, რაც ჩემთვის მერე და მერე უფრო გასაგები გახდა, როცა მათი ის პირველი წიგნი წავიკითხე და ამ წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმიც ვნახე. იმ დღეს კი რაღაც უაზრო, არაფრისმთქმელი კითხვები დავაყარეთ. ან რა უნდა გვეკითხა გზიანი, ჩვენთვის სრულიად სხვა სამყარო იყო, სხვა ჟურნალისტიკა. მხოლოდ ერთი კითხვა დამამახსოვრდა, ერთმა მოსკოველმა კოლეგამ რომ დაუსვა – ილფი და პეტროვი თუ წაგიკითხავთო. არა, არ წაგვიკითხავსო, პატიოსნად უპასუხეს ორ ხმაში. მე არაფერი მიკითხავს. მხოლოდ რამდენიმე ფოტო გადავიღე. ფერადი სლაიდი. ჩვენთვის ფერადი ფოტო მაშინ ისეთივე სიახლე იყო, როგორც მათთვის პერსონალური კომპიუტერი.

სასტუმრო„უოტერგეიტის“გადაღება იმ ჩასვლაზე ვერ მოვახერხე. ვერც მეორე ჩასვლაზე მოვახერხე, ვერც მესამეზე. მეოთხე ჩასვლაზე კი, კლინტონობისას, 1995-ში, „უოტერგეიტის“ მთელი კომპლექსი კარგად დავათვალიერე და რამდენიმე სურათიც გადავიღე.





ბობ ვუდვარდი და კარლ ბერნსტაინი

ბერნსტაინი მაშინ უკვე აღარ მუშაობდა „ვაშინგტონ პოსტში“ და მარკო პოლიტისთან ერთად წიგნს წერდა რომის პაპზე – იოანე-პავლე მეორეზე.

თავისი თაობის საუკეთესო რეპორტიორად შერაცხილი ვუდვარდი კი კვლავ „ვაშინგტონ პოსტში“ საქმიანობდა. ბერნსტაინთან თანამშრომლობის შემდეგ მას რამდენიმე წიგნი გამოეცა, მათ შორის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და პრეზიდენტ კლინტონზე. იმხანად დიდ პროექტს იყო შეჭიდებული, რომელიც 1999 წელს წიგნად აქცია – მისი „ჩრდილი“ უოტერგეიტის სკანდალისა და მომდევნო ადმინისტრაციებს თავსდატეხილი სკანდალების ურთიერთმიმართებაზე მოუთხრობს მკითხველს.

მოგვიანებით ბობ ვუდვარდმა ხუთი წიგნი დაწერა უმცროს ჯორჯ ბუშზე და მის ეპოქაზე. ჟურნალისტთაგან იგი ყველაზე ახლოს იყო ბუშთან და ყველაზე მეტი დრო დაჰყო მასთან. სხვათა შორის, ჩემი ინფორმაციით, პრეზიდენტ ბუშს იგი თბილისშიც ახლდა. სამწუხაროდ, მე მაშინ უცხოეთში ვიყავი, თორემ ვეცდებოდი შევხვედროდი ვუდვარდს, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინანდელი ის ჩვენი ვაშინგტონური შეხვედრა გამეხსენებინა და მეკითხა, რატომ ვერ ხედავენ ჩვენი ამერიკელი მეგობრები და სტრატეგიული პარტნიორები საქართველოში იმას, რის გამოც თავის დროზე პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა თუ გადააყენეს, რატომ ვერ (თუ არძ ამჩნევენ სხვის თვალში დირეს, როცა საკუთარში ბეწვიც არ რჩებათ შეუმჩნეველი?! ნუთუ მეგობრობაც სიყვარულივით ბრმა არის?!

საქართველოში თავად რიჩარდ ნიქსონიც არის ნამყოფი. პრეზიდენტყოფილი ზვიად გამსახურდიასთან შესახვედრად ჩამობრძანდა მსოფლიო პოლიტიკის დინებებში ახალბედა პოლიტიკოსის გარკვევის სპეციალური მისიით და სწორედ მის იმ მისიას მოჰყვა მამა ბუშის სიტყვები, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო.

რაგინდ სახალისო და თავშესაქცევი არ უნდა ჩანდეს გია ხუხაშვილის ძაღლის ამბავი, არ არის გამორიცხული იგი მალტეზეგეითად იქცეს. მე მეჩვენება, რომ აჩრდილი დადის დღეს საქართველოში, რიჩარდ ნიქსონის აჩრდილი. ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლას, რაც მოჰყვა, ვიცით. ვნახოთ რა მოჰყვება მისი აჩრდილის გამოჩენას.

სიტყვა გამიგრძელდა. დროა, წერტილი დავსვა.

თუ გია ხუხაშვილის მალტეზე ან ვინმე სხვა რაიმე მსგავსებას დაინახავს უოტერგეიტის სკანდალსა და ხუხაშვილის მეზობლის ბინაში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენას შორის, დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ საქმე უბრალო დამთხვევასთან აქვს. მერე რა, თუ თითქმის ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ერთხელ ამერიკაში. მერე რა, თუ ჩვენი ქვეყანაც დღეს წინასაარჩევნო ციებ-ცხელების რეჟიმშია, თუ პრეზიდენტს და მის ამალას ძალაუფლების შენარჩუნება სურთ და თუ გია ხუხაშვილი სწორედაც მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს და თანაც იგი ამ მხარის არცთუ რიგითი წარმომადგენელია.

ამ საქმეში ხელისუფლების ხელი უნდა ერიოსო, თქვა „მაესტროს“ ეთერში ერთმა ჩემმა კარგად ინფორმირებულმა გვარისკაცმა, თვითდასაქმებულმა საზოგადოებრივმა აქტივისტმა, როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს. რას ამბობ, ლაშა, რომელი ჭკუათამყოფელი ხელისუფლება მისცემს თავის ოპოზიციას ასეთ კოზირს! კოზირს კი არა, პირდაპირ ჯოკერს! არ არის გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი სულაც გიას ძაღლის ოინები იყოს. რა მიზნით? რისთვის? ისე, სალაღობოდ და სახალისოდ. ამბობენ, რომ მალტეზე საზოგადოდ ძალიან ცელქი და ხალისიანი ძაღლია :)

ან რომელი ოპოზიცია არ გამოიყენებს ასეთ ჯოკერს უფრო უკეთ?!

ან რომელი ჟურნალისტიკა?!

თუ ვბაძავთ, სწორად ამაში უნდა მივბაძოთ ამერიკას!

საქმე კი აღიძრა, მაგრამ რატომღაც მეგონა, პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში აქტიურად ჩართული ჩემი ენერგიული კოლეგები გამოძიების შედეგებს არ დაუცდიდნენ და თავადაც გატოკდებოდნენ. რა ვიცი, რაც საქართველოში საგამოძიებო ჟურნალისტიკის დანერგვა-განვითარებისთვის ტრენინგები ჩატარდა და გრანტები დაიხარჯ-შეიჭამა, ქართველ ჟურნალისტთა სახელოვანი კოჰორტის ერთიორი წარმომადგენელი მაინც უნდა დაინტერესებულიყო იმით, თუ კონკრეტულად ვის ეკუთვნის ბინა, სადაც ეს აპარატურა დამონტაჟდა; ჩივის თუ არ ჩივის იგი თავის ბინაში უნებართვოდ შეღწევის გამო; ვინ აწარმოებს და სად იყიდება მსგავსი მოსასმენი აპარატურა; ვინ გადაიხადა ამ აპარატურის ან მისი მონტაჟის საფასური. ბოლოს და ბოლოს ის მაინც ხომ შეიძლებოდა დადგენილიყო, მართლა ჰყავს თუ არა ბიძინა ივანიშვილს მალტეზე, თუ მისი არსებობა გია ხუხაშვილმა კვალის არევის და საზოგადოების გახალისების მიზნით მოიგონა :)

ვინ იცის, თუ გია ხუხაშვილის ძაღლის მოსმენის ამბავი რაღაც სასწაულით უოტერგეიტის გაქანებას მიაღწევს, საქართველოს მასშტაბით მაინც, იქნებ მის ძაღლს ძეგლიც კი დავუდგათ.

მსოფლიოში ბევრია ძაღლის, ადამიანის ამ ერთგული მეგობრის ძეგლი და, ადამიანთა ძეგლებისაგან განსხვავებით, ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ აუღიათ და არ აუფეთქებიათ.

**პაატა ნაცვლიშვილი.**

*ავტორის ფოტო.*

◎ ბრიფინგი

## „კოალიციაში არანაირი დაპირისპირება არ არსებობს“

(მეხუთე გვერდიდან)

მაია ფანჯიკიძის აზრით, ეს არის შეთითხნილი საქმე, რომელიც დაამთხვიეს „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ გრანდიოზულ აქციას გურიაში ვითომდა ყურადღების გადასატანად. ამიტომ ყველას ვურჩევ, არ ენდოთ მსგავს ინფორმაციასო.

მაია ფანჯიკიძემ ყურადღება გაამახვილა იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც შეიმუშავეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიაანალიტიკოსებმა, და რომელიც ითვალისწინებს საკაბელო მაუწყებლობის ვალდებულებას, გადასცენ ლიცენზირებული მაუწყებლობის მიერ მომზადებული პროგრამები.

**„როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალურმა მოძრაობამ უარი თქვა სატელევიზიო მონოპოლიის ხელიდან გაშვებაზე და აშშ-სა და ევროპის წამყვანი დემოკრატების ქვეყნებში აპრობირებული, ინიციატივა დაბლოკა.**

ამჟამად საკანონმდებლო ინიციატივების ავტორები 30 ათასი ხელმოწერის შეგროვებას აპირებენ, რათა მიაღწიონ ამ საკითხში გარღვევას.

შეკითხვაზე, რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“ და ეს დაპირისპირება იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ ვერ თანხმდებიან მაჟორიტარ კანდიდატებზე, – მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ 9 მაჟორიტარია დასახელებული, 6 – ქუთაისში, 3 გურიაში...

**„ბიძინა ივანიშვილმა, მრავალი კონსულტაციისა და დისკუსიის შედეგად, მოახერხა იმ ძალების გაერთიანება, რომლებსაც წარსულში განსხვავებული აზრი ჰქონდათ მრავალ საკითხზე. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გაზს ვუსვამ, არანაირი დაპირისპირება კოალიციის ფარგლებში არ არსებობს, არც რომელიმე სხვა პარტიასა და არც თქვენ მიერ დასახელებულ ორ პარტიას შორის“.**

**მაია ფანჯიკიძის თქმით, უმართებულოა ის აზრი, რომ დავით ბერძენიშვილი არ ჩანდა გურიაში აქციაზე. დავით ბერძენიშვილი ჩოხატაურიდან ჩამოჰყვა მომხრეების კოლონას, იგი იმხელა კაცია, მისი დამალვა ცოტა ძნელი იქნებოდაო,** – დასძინა იუმორით.

პრესსპიკერის თქმით, არასწორია გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ თითქოსდა დავით ბერძენიშვილმა მაჟორიტარების კანდიდატები დაასახელა. მან დაასახელა მხოლოდ კვლევის შედეგებიო, – აღნიშნა ფანჯიკიძემ – ორი-სამი თვის წინათ მაჟორიტარების გამოსავლენად შიდა კვლევა ჩავატარეთ, რათა გაგვეგო, ვინ უფრო მეტად მოსწონს საზოგადოებას. ასეთი კვლევები ლეგიტიმურია, ყველა პარტია აკეთებს და ჩვენც გავაკეთებთო. კვლევა არის ერთ-ერთი კომპონენტი მაჟორიტარების დასახელებისა, და არა ერთადერთი.

დავით ბერძენიშვილს არ უთქვამს, რომ ეს სახელები და გვარები შემდეგ იქნებოდნენ მაჟორიტარებში.

**„თქვენ ვერ დამისახელებთ ვერავის, ვინც დაასახელა რომელიმე მაჟორიტარი კანდიდატი გარდა ბიძინა ივანიშვილისა. მაჟორიტარის დასახელება საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მომენტია, ეს კოალიციის ლიდერის პრეროგატივაა“,** – განმარტა ფანჯიკიძემ.

**ნატა ნიბლაძე**

## რა იქნება ხვალ?

**სანამ მსოფლიო ირანთან კონფლიქტის მოლოდინში იყო, სამხრეთ კავკასიამ დაასწრო და სომხეთ-აზარბაიჯანის საზღვარზე, როგორც ექსპერტები შენიშნავენ, 1994 წლის შემდეგ პირველად ვითარება უკიდურესად დაიძაბა, იმდენადაც, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების კონტურები გამოიკვეთა. თუმცა, ამთავითვე აშკარაა, რომ დაპირისპირებული მხარე მხოლოდ ორი არ იქნება და საომარ სცენაზე, ფარულად თუ აშკარად, რუსეთისა და თურქეთის ჩართვაცაა მოსალოდნელი. ერთი მხრივ, სომხეთსა და რუსეთს, მეორე მხრივ, აზერბაიჯანსა და თურქეთს ერთმანეთთან კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის მოქმედებს პრინციპი „შენი შემწუხებელი, ჩემი შემწუხებელიაო...“.**



**იმის გასაგებად, თუ ვინ აღმოჩნდება „კუკიაზე“ (არ არის გამორიცხული, ეს ჩვენც ვიყოთ, რადგან სომხეთში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზას მოსამარაგებლად ერთადერთი გზა აქვს, რომელიც საქართველოზე გადის), სამხედრო-პოლიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორ ირაკლი ალადაშვილს მივმართეთ და მასთან ერთად გავაანალიზეთ სამხრეთ კავკასიაში გაღვიძებული სამხედრო კონფლიქტის მოსალოდნელი შედეგები და მხარეების სამხედრო პოტენციალი.**

# გაჭრის თუ არა რუსეთი ბრძოლით გზას საქართველოს გავლით გიუმრის სამხედრო ბაზისკენ

**— დავიწყოთ სომხეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. რამდენად აქტუალური ხდება ის დღეს?**

— პრეისტორიით დავიწყოთ. ის ხელშეკრულება, რომელზეც თქვენ ბრძანებთ, ორიოდე წლის წინათ დაიდო და ითვალისწინებს კოლექტიურ თავდაცვასა და ურთიერთდახმარებას სამხედრო მოქმედებების დროს როგორც რუსეთის, ისე სომხეთის მხრიდან. მინდა, პარალელი გავავლო — მსგავსი ხელშეკრულება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიდო რუსეთსა და სომხეთს შორის, ოღონდ ის ითვალისწინებდა რუსეთის 102-ე გიუმრის სამხედრო ბაზის მიხმარებას სომხეთისთვის, თუ სომხეთს შეექმნებოდა პრობლემები მეზობელ ქვეყნებთან და ამ მეზობლებში მაშინ იგულისხმებოდნენ თურქეთი და ირანი. მაგრამ აი, ამ ახალი, ორი წლის წინათ გაფორმებული ხელშეკრულებით, ეს პრინციპი ვრცელდება ყველა მეზობელზე, მათ შორის — აზერბაიჯანსა და საქართველოზე.

**— რა მასშტაბისაა გიუმრში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზა და კონკრეტულად, რა ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს ეს შეთანხმება?**

— რუსული 102-ე ბაზა მხოლოდ გიუმრიში არ არის განთავსებული, მისი მცირე დანაყოფებია ერევანშიც, იგივე სამხედრო-საჰაერო ბაზა ერევან-იუჟნის აეროდრომზე. ეს ყველაფერი ითვალისწინებს იმას, რომ მათ რეალური სამხედრო დახმარება უნდა გაუწიონ ერთმანეთს. სხვათა შორის, გიუმრის ბაზის გამოყენებაში რუსეთი ფულს არ იხდის, ფინანსურად მას სომხეთი უზრუნველყოფს. სამაგიეროდ, სომხეთის შეიარაღებული ძალები, განსაკუთრებით — მეზენიტეები, მომზადებას გადიან რუსეთის ტერიტორიაზე, რადგან დღეს საჰაერო თავდაცვა მთავარია და ამას სომხეთი დიდ ყურადღებას აქცევს. ანუ სომხეთი თავის მეზენიტეებს ავარჯიშებს რუსეთში „S 300-ის“ ტიპის სარაკეტო-საზენიტო კომპლექსებზე. გარდა ამისა, ერევან-იუჟნიზე დისლოცირებულია 18 „მიგ-29“ ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი.

საერთოდ, საბჭოთა პერიოდში სომხეთში არც ერთი საბრძოლო თვითმფრინავი არ იყო. ძირითადი აეროდრომები განთავსებული იყო აზერბაიჯანსა და საქართველოში, სომხეთს მხოლოდ შვეულმფრენები ჰქონდა, მაგრამ დღეს უკვე სხვა ვითარებაა. გასული საუკუნის 90-იან წლებში სომხეთში, ჯერ, „მიგ-23“ ტიპის 6 თვითმფრინავი ჩაიყვანეს და შემდეგ ისინი შეცვალეს ამ 18 „მიგ-29-ით“, სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დაცვის მიზნით. პირველი, ვინც შეიძლება, ჩაერთოს ამ ბრძოლებში, სწორედ ეს „მიგ-29-ებია. სხვათა შორის, ამ კვირის ინფორმაციაა, რომ წლის დასაწყისიდან ამ ბაზის რუსმა პილოტებმა 200 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს ვარჯიშის მიზნით. 200 გაფრენა ცოტა არ არის. ისინი ვარჯიშობენ როგორც ღამით, ისე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ფრენაზე. ანუ ემზადებიან საჰაერო ბრძოლებისთვის.

**— რატომ არის ასეთი აქცენტი საჰაერო მიმართულებაზე?**

— იმიტომ, რომ აზერბაიჯანი ყველას აღემატება ავიაციის შეიარაღებით. მას აქვს როგორც ბომბდამშენები, ისე მოიერიშე თვითმფრინავები, გამანადგურებლები. ერთი სიტყვით, ძლიერი ავიაცია ჰყავს.

**— შესაბამისი კადრები?**

— ალბათ, ჰყავს. სხვათა შორის, ყველაზე უცნაური ის არის, რომ „მი-24“ ტიპის შვეულმფრენების მოდერნიზებულ ვარიანტს დღეს აზერბაიჯანი რუსეთში ყიდულობს.

**— საერთოდ, რუსეთს ახასიათებს კონფლიქტის ორივე მხარის შეიარაღება...**

— დიახ. ბაქომ შარშან აღლუმზე აჩვენა ის თანამედროვე საბრძოლო საშუალებები, რომლებიც მანამდე შეიარაღებაში არ ჰქონია არა მარტო მას, არამედ სამხერთი კავკასიის არც ერთ ქვეყანას. მათ შორის: „ტოჩკა-უ-ს“ ტიპის ოპერატიულ-ციფრული რაკეტები, ისეთები, რომლებიც რუსეთმა აგვისტოს ომის დროს გვესროლა. ასევე, რუსეთში ნაყიდი „S 300 ტ N 2 ფავორიტის“ ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები.

**— ანუ აზერბაიჯანი ამ რუსულსახელწოდებიან სამხედრო ტექნიკას მხოლოდ რუსეთში ყიდულობს?**

— „ტოჩკა უ“-ების ყიდვა აზერბაიჯანს უკრაინაშიც შეეძლო, მაგრამ „ფავორიტებს“ უკრაინაში ვერ იყიდდა. საინტერესოა, რომ რუსეთის ორივე მხარეს აძლევს შეიარაღებას. „არსენალში“ ორიოდე წლის წინათ გამოვაქვეყნეთ ჟურნალისტური გამოძიება, როგორ ჩაიტანეს საქართველოს გავლით სომხეთში „S 300“ ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. სომხეთი ამბობს, ჩემი იყოო და მართლაც აღლუმზე აჩვენეს აღნიშნული „S 300-ები“, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ეს შეიარაღება რუსებსაც ჩაუვიდათ. „S 300“ სერიოზული სისტემაა და ის რუსეთს აფხაზეთშიც აქვს. ანუ, ეს სისტემა ოკუპირებული აფხაზეთიდან, თუ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსაც დაამატებენ და პლუს გიუმრიდან, ფარავს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მხარეს.

გასაგებია, რომ სომხეთი და რუსეთი, იმავე ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების დახმარებით, საკმაოდ დიდ საჰაერო სივრცეს აკონტროლებენ, მაგრამ არც თურქეთს უჭირს შეიარაღება და სამხედრო კვალიფიკაცია. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ, სამაგიეროდ, თურქეთის საჰაერო-სამხედრო შესაძლებლობები მუშაობს აზერბაიჯანზე?

**— თურქეთსაც აქვს დადებული ანალოგიური ხელშეკრულება აზერბაიჯანთან, ისეთივე, როგორც რუსეთს — სომხეთთან.**

— აზერბაიჯანზე თავდამსხმელი არის თურქეთზე თავდამსხმელი?

— დაახლოებით, ასეა. მით უმეტეს, რომ გასულ კვირას თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა, არმიის გენერალმა, რომელიც ბაქოში იყო, დაადასტურა, რომ აზერბაიჯანის არმიასთან ერთად არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თურქეთი და რუსეთი ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებიან. ეტყობა, ორივე მხარე ფარულად ეცდება, დაეხმაროს თავის ფავორიტს.

**— თურქეთი და რუსეთი იომებენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელით?**

— თუ აქამდე გამწვავდა სიტუაცია... გარდა ამისა, აღსანიშნავია აზერბაიჯან-ისრაელის თანამშრომლობა, რომელიც ბოლო პერიოდში ძალიან სერიოზულ დონეზე ავიდა. სულ ბოლო 1,6-მილიარდიანი ხელშეკრულება ორი თვის წინათ დაიდო.

**— ისრაელმა უნდა მიაწოდოს აზერბაიჯანს 1,6 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა?**

— უკვე აწვდის და — საკმაოდ სერიოზულ ტექნიკას, მათ შორის — უპილოტო თვითმფრინავებს, მართვად ბომბებსა და თანამედროვე შეიარაღებას.

**— შეიძლება ითქვას, რომ ისრაელის აზერბაიჯანთან სამხედრო თანამშრომლობა ირანის წინააღმდეგაცაა ორიენტირებული? ვიცით, რომ აზერბაიჯანს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს ირანთან.**

— ასე პირდაპირ ვერ ვიტყვი, ეს პოლიტიკური საკითხია. აზერაბაიჯანსა და ირანს შორის, წესით, ამ დონემდე არ უნდა მივიდეს საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ აზერბაიჯან-ისრაელის თანამშრომლობა არც ირანს მოსწონს და არც სომხეთსა და რუსეთს.

**— თურქეთს?**

— რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, არც — თურქეთს, რადგან თურქეთსა და ისრაელს შორის ვითარება დაიძაბა სამშვიდობო ფლოტილიის გამო, თორემ მანამდე თურქეთსა და ისრაელს ერთ-ერთი ყველაზე დიდი თანამშრომლობა ჰქონდათ სამხედრო-ტექნიკურ სფეროში იმ დონემდე, რომ ისრაელის მფრინავები თურქეთის საჰაერო სივრცეში ვარჯიშობდნენ.

**— თვითონ სომხეთისა და აზერბაიჯანის არმიების სამხედრო პოტენციალი როგორია მათი რაოდენობის, გაწვრთნილობის, ბრძოლისუნარიანობის მხრივ?**

— 1992 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მოხდა რესპუბლიკებში არსებული შეიარაღების გადანაწილება.

**— და კვოტებიც დაწესდა, რომლებსაც, როგორც ამბობენ, ჩვენ გარდა, ყველამ გადააჭარბა.**

— ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკას უფლება ჰქონდა, ჰქონოდა არაუმეტეს 220 ტანკი, 220 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 100 მილიმეტრზე მსხვილი კალიბრის 285 საარტილერიო სისტემა, 100 საბრძოლო თვითმფრინავი და 50 დამრტყმელი შვეულმფრენი. მაგრამ მაშინ, როდესაც საწყობები დაიშალა, ყველაზე მეტი შეიარაღება დარჩა აზერბაიჯანს, შემდეგ — სომხეთს და, ბოლოს — ჩვენ, როგორც ყოველთვის, მაჩანჩალები აღმოვჩნდით. ბოლო პერიოდში აზერბაიჯანი სერიოზულ შესყიდვებს ახდენს და მისი სამხედრო ბიუჯეტი 3,2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

**— მთელი ჩვენი ბიუჯეტის ტოლი ყოფილა აზერბაიჯანის მხოლოდ სამხედრო ბიუჯეტი...**

— ასე გამოდის. შეიარაღებული ძალების რაოდენობითაც მეტნი არიან, ვიდრე სომხები.

**— სომხეთის სამხედრო ბიუჯეტი რამდენს შეადგენს?**

— ბევრად ნაკლებს, ვიდრე აზერბაიჯანის.

**— მაგრამ ყველაზე მცირებიუჯეტიანი მაინც ჩვენია?**

— დიახ. წელს, თუ არ ვცდები, 670 მილიონი ლარია.

**— თანაზომადი სამხედრო ძალები აქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანს?**

— გააჩნია, რა ვარიანტი გათამაშდება. პირველი ვარიანტია, რომ არავინ ერევა და ბრძოლაა სომხეთსა და თვითაღიარებულ ყარაბაღს და აზერბაიჯანს შორის; მეორე ვარიანტია, რომ სხვა ძალები აშკარად ერევიან.

**— საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის კერის გაჩენის ალბათობაზე რას იტყვით?**

— ალბათობა უდიდესია. რადგანაც ეს ორივე ქვეყანა გვესაზღვრება, თუ მათ შორის შეტაკებები დაიწყება, შესაძლოა, საარტილერიო ცეცხლი ან საჰაერო დარტყმები შემთხვევით ან არაშემთხვევით ჩვენს ტერიტორიაზე გადმოვიდეს. მით უმეტეს, ამის პრეცედენტი იყო წინა ომის დროს — ორივე მხარე ნაღმავდა საქართველოს ტერიტორიას. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს საზღვრისპირა რეგიონებში ცხოვრობენ საქართველოს როგორც აზერბაიჯანელი, ისე სომეხი ეროვნების მოქალაქეები და არის გამორიცხული, რაღაც დაძაბულობა მათთან დაკავშირებითაც მოხდეს. ყველაზე დიდი საშიშროებაა რუსეთის ფაქტორი: რუსეთმა ეს შესაძლოა, გამოიყენოს შემოჭრის საბაბად.

**— გიუმრის ბაზის მომარაგების მოტივით...**

— რა თქმა უნდა. თუ ჩვენ ნებით ვუთმობთ გზას, პრობლემა გვექმნება აზერბაიჯანთან მიმართებაში; თუ არ ვუთმობთ, ესე იგი, ომი უნდა მოგვიწიოს რუსეთთან. ერთი სიტყვით, ბევრი რამაა გასათვლელი და საქმე ასე მარტივად არ არის.

**მიხეილ გოლქვაძე.**

**For.ge**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელმა სამხედროებმა გამოაქვეყნეს საიდუმლო კოსმოსური „უპილოტო“ თვითმფრინავის დედამიწაზე დაშვების ინფორმაცია**

**ექსპერტები ამ დროს დავობენ უცნაური კოსმოსური ნავის დანიშნულების შესახებ. ზოგი მასში ხედავს ახალ ამერიკულ კოსმოსურ იარაღს. სხვები — ორბიტალურ ჯაშუშს, რომელიც გამიზნულია ირანის, პაკისტანისა და ჩინეთის საიდუმლო ობიექტებზე. სხვათა შორის, რეალურად ყველაფერი შეიძლება გაცილებით უფრო მარტივი რამ აღმოჩნდეს.**

* * *

**საკვირაო აფეთქებები ტაძრებში და ქრისტიანთა დარბევები ნიგერიაში — უკვე მოკლულია 50-მდე კაცი**



**ტერორისტული აქტები მიმართული იყო ქრისტიანების წინააღმდეგ. თავდასხმა მოხდა ხუთამდე ტაძარში: ორი ქალაქ ზაირში და ერთი — ქალაქ კადუნაში. ტერორისტებმა შეუტიეს მორწმუნეებს საკვირაო ღვთისმსახურების დროს. შურისძიების აქციებთან დაკავშირებით, რაც ტერორისტულ აქტებს მოჰყვა, ხელისუფლებამ შემოიღო კომენდანტის საათი.**

* * *

**ასტრონომებმა მერკურიზე აღმოაჩინეს მიკი მაუსის სილუეტი**



**გასაოცარი აღმოჩენა მოხდა ზონდ „ნასა მესინჯერის“ წყალობით, რომელიც ახორციელებს მაღალი ხარისხის გადაღებებს მერკურის ზედაპირზე. ცნობილი ამერიკელი თაგუნას გამოსახულებას შეადგენს სამი კრატერი: ცენტრალური კრატერი — დიამეტრით 105 კილომეტრი — გვერდებზე შემკულია უფრო მოკლე ორი კრატერით, რომლებიც მღრღნელის ყურებს მოგვაგონებენ.**

* * *

**რომნი დაგვპირდა, თავს დაესხას ირანს, თუ იგი გახდება აშშ-ის პრეზიდენტი**

**ამ დროს რესპუბლიკელმა მორმონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მისი თვალსაზრისით, მას არ დასჭირდება, მიმართოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს სამხედრო ძალების გამოყენების სანქციებისთვის ირანის წინააღმდეგ თეთრ სახლში მისი მოსვლის შემთხვევაში.**



მწვავე პრობლემა

## მურმან მალაზონია:
# ამ ხელისუფლებამ დევნილებში საპროტესტო მუხტი ჩაკლა

**პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში ზუგდიდში განთავსებულ დევნილებს ერთხელაც არ ჩაუტარებიათ საპროტესტო აქცია, მაშინ, როდესაც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ენგურის ხიდთან ყოველ წელიწადს რამდენიმეთვიანი საპროტესტო აქციები იმართებოდა სხვადასხვა, მათ შორის ძალიან რადიკალური მოთხოვნებით. ამ და სხვა საკითხებზე ჩვენი გაზეთის მკითხველებს საკუთარ მოსაზრებას უზიარებს ზუგდიდში განთავსებული დევნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი მურმან მალაზონია.**

— შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს აქცია აქციაზე იმართებოდა, შექმნილი იყო საკოორდინაციო საბჭო იმისთვის, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოგვარებულიყო, — მეუბნება ბატონი მურმანი, — მაშინ ხელისუფლებისაგან წინააღმდეგობის გაწევას ვერ ვგრძნობდით, უფრო მეტიც, ხელსაც გვიწყობდნენ, რომ საპროტესტო აქციები მოგვეწყო. სააკაშვილის ხელისუფლებამ კი ეს საპროტესტო მუხტი დევნილებში ჩაკლა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დევნილებში აქციების ჩატარების განწყობა ჩამქრალიყო. განსაკუთრებით მას შემდეგ ჩაიქნიეს დევნილებმა ხელი, როდესაც რუსებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ამას დაემატა გარკვეული შიშის გრძნობაც, რომელიც დათესა ამ ხელისუფლებამ. ყოველივე ამან დევნილები გახადა პასიური და მათ გააქტიურებისთვის შიშის დაძლევა და რწმენის დაბრუნება სჭირდებათ...

**— ბატონო მურმან, როგორ ფიქრობთ დაიძლევა ეს შიში და დაუბრუნდებათ დევნილებს რწმენა?**

— შიში ნაწილობრივ დაძლეულია, მაგრამ ბევრი მათგანი მაინც ვერ გამოდის ამ შიშიდან. ადამიანი ყოველთვის იმედით ცხოვრობს. დღეს ჩემი და ჩემი მეგობრების ცხოვრების არსი არის, რომ როგორმე დავბრუნდეთ აფხაზეთში. ამ ხელისუფლებას აფხაზეთი საერთოდ არ ახსოვს, ამიტომ მე მათგან არაფერს არ ველოდები. ახლა საქართველოში ახალი ძალა მოქმედებს და ჩვენც იმედით შევყურებთ ამ ახალი ძალის გამოჩენას.

**— რა უნდა გააკეთოს ამ ახალმა ძალამ, რომ დევნილთა გულები მოინადიროს?**

— ვინაიდან ამ ხელისუფლებამ ნდობის ლიმიტი მთლიანად ამოწურა, ამიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია კოალიცია „ქართული ოცნებისაკენ“. პირველ რიგში მათ უნდა გამონახონ დრო და შეხვდნენ დევნილთა წარმომადგენლობას და აგვიხსნან, როგორ აპირებენ ქართულ-აფხაზური პრობლემების მოგვარებას. ჩვენ ამ ხელისუფლებისაგან მოგვბეზრდა შიშველი სიტყვების მოსმენა, ამიტომაც გვინდა, მათგან გავიგოთ, როგორ აპირებენ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, რომლის გარეშეც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაზეც ლაპარაკი ზედმეტია. კოალიციასა და დევნილ საზოგადოებას შორის უნდა იყოს ხშირი შეხვედრები, დიალოგები, დადონ პროგრამა, სადაც მარტივი და გასაგები ენით იქნება მოცემული, თუ რას და როგორ აპირებენ.

**— რა ხდება ამჟამად აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში?**

— ძალიან რთული ვითარებაა. გალში მცხოვრები ქართველები გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებიან. გალში კი კეთდება რაღაც-რაღაცები, მაგრამ მათთვის ყველაზე კატასტროფულია გადაადგილების შეზღუდვა. გალიდან ზუგდიდში და პირიქით, მოსახლეობას ტრანსპორტით თავისუფლად მოძრაობის შეზღუდვა გააჩნია. ეს საკითხი კი ჩვენს ხელისუფლებას სულ არ ადარდებს. რა აზრი აქვს ამდენ ორმხრივ მოლაპარაკებას, თუ მას არანაირი შედეგები არ მოაქვს. აგვიხსნას შოთა უტიაშვილმა, რატომ დადის გალში ? და რა გააკეთა ამ საკითხის მოსაგვარებლად.

**— დევნილები უკეთეს მდგომარეობაში არც აქ ენგურს გამოღმა ცხოვრობენ, მაგრამ ბევრნი ამ ხელისუფლების მომხრეები არიან, რა არის ამის მიზეზი ?**

— ამ მიზეზის გარკვევა, ალბათ, გამიძნელდება, სამწუხაროდ, დევნილები კმაყოფილდებიან ძალიან მცირედით, იმით, რომ მისცეს საცხოვრებელი ფართი, ვაუჩერები. მე იმისათვის, რომ ხელისუფლებამ საცხოვრებელი ფართი მომცა, მხარს მაინც არ დავუჭერ, ასე უნდა მოიქცეს ყველა დევნილი. საცხოვრებელი ფართის მიცემა დევნილთათვის ხელისუფლებას ევალება. ეს კი არ არის მთავარი, მთავარია, რა გააკეთა ჩვენ მიწაწყალზე დასაბრუნებლად. არაფერი, თითი-თითზე არ დაუკარებია. მე საყვედურს გამოვთქვამ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართაც. საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია, რას საქმიანობენ ისინი და რა ევალებათ. ჩვენთან დევნილებთან შეხვედრებს კი გაურბიან.



**— რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად?**

— პირველ რიგში საჭიროა პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან, ასევე აუცილებელია სახალხო დიპლომატიის ამოქმედება, ჩემი არასამთავრობო ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულებაა მტრის ხატის მოშლა ქართველებსა და აფხაზებს შორის. რეალურად დასაწყებია პროექტების შემუშავება, სადაც ჩართულნი იქნებიან როგორც ქართველები, ისე აფხაზები. აუცილებელია ურთიერთობა აფხაზეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ერთობლივი ბიზნესის წარმოება ქართველებისა და აფხაზების მიერ. ყოველივე ამას სჭირდება ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, წახალისება, მაგრამ სამწუხაროდ, მათგან არანაირი წახალისება და მხარდაჭერა არ გვაქვს. უფრო მეტიც, ხელსაც გვიშლიან. მათთვის პრიორიტეტი არ არის ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის აღდგენა და ბოლოს, რაც მთავარი და აუცილებელია, დიალოგის დაწყება რუსეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა მასთან, რადგანაც რუსეთის ფენომენის გაუთვალისწინებლად, ეს პრობლემა ვერ გადაწყდება.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

„მე არ ვარ ის კაცი“...

# კონტროლის პალატა ცხვარს და გველუკაშვილს ერთმანეთთან ვერ აკავშირებს

**რუსთაველი ამომრჩევლებისთვის დარიგებული ცხვრები, კვლავ, სადავო თემაა. აღდგომის წინა დღეებში, რუსთავის სხვადასხვა უბნებში დარიგებული ცხვარი და 20 ლიტრი ღვინის ამბავი ადგილობრივ მედიასთან ერთად ცენტრალურმა ტელევიზიებმაც გააშუქეს. კამერების წინ მდგარი რუსთაველები საჩუქრისთვის მადლობას რუსთავის საკრებულოს წევრ თამაზ გველუკაშვილს უხდიდნენ.**

ამ ინფორმაციის გაჟღერების შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ კონტროლის პალატას და პროკურატურას მიმართა.

**„რუსთავის საკრებულოს წევრმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან თამაზ გველუკაშვილმა სააღდგომოდ ქალაქის რამდენიმე უბანში საჩუქრად ცხვარი და ღვინო გააგზავნა, რაც ამომრჩევლის მოსყიდვად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფაქტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გამოკითხული რუსთავის მცხოვრებლებიც ადასტურებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე სხვადასხვა უბანში შეგროვდა ინფორმაცია კორპუსების მცხოვრებელთა რაოდენობის შესახებ, ხოლო აღდგომის დღეს იმავე უბნებში მანქანებით საჩუქრები — ცხვარი და 20 ლიტრი ღვინო მიიტანეს. ზოგიერთ უბანში საჩუქრები რუსთავის გამგეობის და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლებმაც კი დაარიგეს, თუმცა ყველგან პირდაპირ ითქვა, რომ ნობათი თამაზ გველუკაშვილის გაგზავნილია“,** — წერდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მოგელაძის უწყებას.



მიმართვიდან 20 დღეში კონტროლის პალატა ცხვრების თემით დაინტერესდა. 11 ივნისს კი საზოგადოებას რუსთავში დარიგებული ცხვრების თემაზე თავისი მოკვლევის შედეგი გააცნო.

**„მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სააღდგომო დღესასწაულის წინა დღეებში, ქ.რუსთავში რამდენიმე ქუჩაზე მოსახლეობას საჩუქრად 20 ლიტრი ღვინო და თითო სული ცხვარი დაურიგა არა საკრებულოს წევრმა გველუკაშვილმა, არამედ ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა ბარათაშვილმა, რომელიც არის პოლიტიკური გაერთიანების — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. ამ უკანასკნელმა რუსთავის მოსახლეობას საჩუქრები საკუთარი სახსრებით დაურიგა და ამ პროცესის ორგანიზებაც თავად განახორციელა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოკითხული პირები“,** — ვკითხულობთ „კონტროლის პალატის“ განცხადებაში.

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კახა ბარათაშვილის საქმე უკვე თბილისის საქალაქო სასამართლოში გადავიდა. ცხვრების თემიდან გაქრა თამაზ გველუკაშვილის გვარი.

**გველუკაშვილი, გარდა იმისა, რომ საკრებულოს წევრია, რუსთავში ცნობილია თავისი მსხვილი ბიზნესებით და ქველმოქმედებით. მას ქალაქში რამდენიმე სავაჭრო ობიექტი აქვს. გველუკაშვილის ქველმოქმედებას უკავშირდება რუსთავში ორი ტაძრის მშენებლობა. ასევე, ის წლების მანძილზე აფინანსებდა ტრადიციული ხელსაქმის უფასოდ სწავლებას ახალგაზრდებისთვის.**

**შესაბამისად, გველუკაშვილი რუსთავში გარკვეული ავტორიტეტით, მართლაც, სარგებლობს. ადგილობრივი ნაციონალური მოძრაობისთვის ის ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატია არჩევნებზე.**

იგივე გეგმები აშკარად არ აქვთ კახა ბარათაშვილის მიმართ, რომელმაც ცხვრების დარიგება საკუთარ თავზე აიღო. **„არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ მე მომავალ არჩევნებზე არ ვიყრი კენჭს. ასე რომ, ვაგრძელებ საკრებულოში მუშაობას. ცხვრების თემასთან დაკავშირებით ჩემი ხელმძღვანელობისგან არავითარი საყვედური არ მიმიღია“,** — საუბრობს კახა ბარათაშვილი.

მისი თქმით, ცხვრების დარიგებას ამომრჩევლის მოსყიდვასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

**„ცხვრები იყო ჩემი საჩუქარი მოსახლეობისადმი. მე არ ვარ ის კაცი, რომელიც ანგარებისთვის აკეთებს რამეს. ცხვრები ხმების სანაცვლოდ არ დამირიგებია. ადამიანების პატივისცემა მინდოდა და სამწუხაროდ ასე გამოვიდა“,** — გვიხსნის ბარათაშვილი.

მისი აღიარების შედეგად კონტროლის პალატამ ცხვრების საქმიდან ნაციონალებისთვის არჩევნებზე საჭირო კაცის გველუკაშვილის გვარი გააქრო.

ეჭვს იწვევს, ასევე, მოგელაძის უწყების დამოკიდებულება საქმეში გამოჩენილი ბარათაშვილის მიმართ. იმას, რომ ბარათაშვილი მსუბუქად დაისჯება, არასამთავრობო სექტორიც პროგნოზირებს.

**„კონტროლის პალატის გადაწყვეტილება არ არის თანმიმდევრული. მართალია, ბარათაშვილის მიერ ცხვრისა და ღვინის მოსახლეობისათვის გადაცემა კონტროლის პალატამ დაადასტურა თავისი მოკვლევით, თუმცა ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის 1641 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულიც — საარჩევნო მიზნით ამომრჩევლის მოსყიდვა. კახა ბარათაშვილი პოლიტიკური თანამდებობის პირია, რომელსაც თავისთავად გააჩნია საარჩევნო და პოლიტიკური მიზნები. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი ამომრჩევლის მოსყიდვად უნდა ჩაითვალოს.**

**ასეთი გადაწყვეტილება გასაკვირია იმის ფონზეც, რომ მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში მოსახლეობის სურვილების ასრულების მხოლოდ დაპირების გამო დააკავეს რამდენიმე ადამიანი, რომელთაც კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ამომრჩევლის მოსყიდვა დაბრალდათ. ამ შემთხვევაში კონტროლის პალატამ მყისიერი რეაგირება მოახდინა და საქმეში პროკურატურა ჩართო. რაც შეეხება რუსთავში მომხდარ ფაქტს, კონტროლის პალატა, რატომღაც, ვერ ხედავს ამომრჩევლის მოსყიდვას, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ უფრო ცხადად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული, რადგანაც საქმე გვაქვს არა მხოლოდ დაპირებასთან, არამედ საჩუქრების გადაცემის განხორციელებულ ქმედებასთან“** — ვკითხულობთ 13 ივნისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო ცხვრების თემაზე კახა ბარათაშვილს ელოდება, რუსთავის მეგობრობის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეები ცხვრებისთვის მადლობას კვლავ თამაზ გველუკაშვილს უხდიან. მოსახლეობის თქმით, გველუკაშვილი ტრადიციას არ არღვევს და უკვე მე-3 წელია, რუსთაველებს აღდგომის დღესასწაულს ცხვრებით ულოცავს.

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი

გველუკაშვილი, გარდა, იმისა, რომ საკრებულოს წევრია რუსთავში ცნობილია თავისი მსხვილი ბიზნესებით და ქველმოქმედებით. მას ქალაქში რამდენიმე სავაჭრო ობიექტი აქვს. გველუკაშვილის ქველმოქმედებას უკავშირდება რუსთავში ორი ტაძრის მშენებლობა. ასევე, ის წლების მანძილზე აფინანსებდა ტრადიციული ხელსაქმის უფასოდ სწავლებას ახალგაზრდებისთვის.
შესაბამისად, გველუკაშვილი რუსთავში გარკვეული ავტორიტეტით, მართლაც, სარგებლობს. ადგილობრივი ნაციონალური მოძრაობისთვის ის ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატია არჩევნებზე.

„ევრო – 2012“

# ასე იყო, ასე არის...

**იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო, ხომ გაგიგონიათ.**

**ამჯერად ბერძნებს ვგულისხმობთ, რომლებმაც მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად, წარმატებით გადალახეს ჯგუფური რაუნდის წინაღობა და 22 ივნისს მეოთხედფინალში დისკვალიფიცირებული კაპიტნის კარაგუნისის გარეშე შეებმებიან ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს – გერმანიას.**

ელადელები განსაკუთრებულ სიმპათიას მისაბაძი ბრძოლისუნარიანობისა და უსაზღვრო სპორტული ჟინის გამო იწვევენ, რითაც მსაჯთა ლაფსუსები და ტრავმების ეპიდემია დაძლიეს.

ამ ფონზე ძნელია სათანადო ახსნა მოეძებნოს „ა“ ჯგუფის ნომინალური ყოჩების – რუსების ფიასკოს. დიახ, სხვაგვარად ძნელია შეფასდეს იმ გუნდის გამოსვლა, რომელიც ევროპულ საფეხბურთო ფორუმში ჩეხებთან საბენეფისო მატჩით ჩაება და მეორე ტურშიც ღირსეულად გამოიყურებოდა ასპარეზობის თანამასპინძელ პოლონეთთან პრინციპულ ჯახში.

არანაკლებ ქებას იმსახურებენ ჩეხებიც, რომლებიც კოშმარული სტარტის შემდეგ მალევე მოეგნენ გონს და დაშავებული ლიდერის როსიცკის არყოფნაში პლეიოფში შეაბიჯეს, სადაც 21 ივნისს პორტუგალია ელით.



როცა ხელმოცარულებზე ვსაუბრობთ, დაფნის გვირგვინი, უპირველესად, „ტიტების ქვეყნის“ შვილებს უნდა მივაკუთვნოთ. მართლაც, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები სამშობლოში სამივე შეხვედრის წაგების შემდეგ შერცხვენილნი დაბრუნდებოდნენ, არადა, სწორედ ასე მოხდა.

პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრების კრახის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა მომავლის საქმეა, ცხელ გულზე კი, თქვენის ნებართვით, აქცენტს „ნარინჯისფერთა“ გადაბერებული ვარსკვლავების ასაკზე გავაკეთებთ.

და კიდევ: ვფიქრობთ, ორიოდე კეთილი სიტყვა დანიელებსაც უნდა შევაწიოთ, რომლებიც წაგებულ თამაშებშიც მრისხანე მეტოქეთა ტოლ-სწორად გამოიყურებოდნენ. მეტიც, ყოფნა-არყოფნის დუელში ბუნდესმანშაფტთან რომ რამდენიმე ეპიზოდში ბედს გაეღიმა ჩრდილოელთათვის, კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

რაც შეეხება „ბ“ ჯგუფის რჩეულთ, გერმანიამაც და პორტუგალიამაც კიდევ ერთხელ კარგად დაუმტკიცეს საფეხბურთო სამყაროს, რომ როგორც გუნდური თამაშით, ისე ინდივიდუალისტთა სიმრავლით საფუძვლიანი საჩემპიონო ამბიციები გააჩნიათ.



**„ა“ ჯგუფი**. პოლონეთი – ჩეხეთი 0:1. გოლი: ჟირაჩეკი.

საბერძნეთი – რუსეთი 1:0. გოლი: კარაგუნისი.

**საბოლოო მდგომარეობა:** ჩეხეთი – 6, საბერძნეთი, რუსეთი – 4-4, პოლონეთი – 2 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი**. გერმანია – დანია 2:1. გოლები: პოდოლსკი, ბენდერი; კრონ-დელი.

პორტუგალია – ჰოლანდია 2:1. გოლები: რონალდუ – 2, ვან დერ ვაარტი.

**საბოლოო მდგომარეობა:** გერმანია – 9, პორტუგალია – 6, დანია – 3, ჰოლანდია – 0 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

მძლეოსნობა

# გოგოჭურის სარეკორდო თამასა



**ორიოდე კვირის წინათ მძლეოსანთა თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ზურაბ გოგოჭურმა სიმაღლეზე ხტომაში 2,25 მეტრი დაძლია და თავისივე საქართველოს რეკორდი ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა.** გასულ შაბათს „დინამო-არენაზე“ ქართველმა მძლეოსანმა მორიგი გამარჯვება იზეიმა – 226 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და ქვეყნის რეკორდით ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ნორმატივიც შეასრულა. კონტინენტის პირველობაზე, რომელიც 25 ივნისიდან ჰელსინკიში გაიმართება, გოგოჭურთან ერთად ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატები – მაიკო გოგოლაძე, ბოლესლავ სხირტლაძე და დავით ილარიანი, ასევე, სალომე რიგიშვილი გაემგზავრებიან. სწორედ ფინეთის დედაქალაქში ეცდებიან გოგოჭური და რიგიშვილი ოლიმპიური ოცნების ასრულებას.

**გივი გაგუა**

ძიუდო

# ხუთი „ოქრო“ და გუნდური პირველი



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ხუთმა წევრმა ბუენოს აირესში (არგენტინა) მსოფლიოს თასზე იასპარეზა. ჩვენს ბიჭებს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, რადგან ტურნირზე სუსტმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.** 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბეთქილ შუკვანმა გადამწყვეტი პაექრობა ბრაზილიელ ბრუნო ალვეშს მოუგო, ლაშა შავდათუაშვილმა (66ძ, ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81ძ, ლევან ჟორჟოლიანმა (100ძ და ადამ ოქრუაშვილმაც (+100ძ ფინალში, ასევე, ბრაზილიელებს – ლუიზ რევიტეს, ნასიფ ელიასს, რენან ნუნიშს, დავიდ მიურას სძლიეს. ხუთი ოქროთი პეტერ ზაიზენბახერის შეგირდებმა გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს.

ქართველი ძიუდოისტები შინ დაბრუნების შემდეგ საწვრთნელ შეკრებას დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე განაგრძობენ.

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# შორია ამერიკამდე

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ამერიკის კონტინენტზე წლეულს პირველი ტესტმატჩი გამართა კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში აშშ-ს ეროვნულ გუნდთან. მეტოქეთა შარშანდელ თბილისურ დაპირისპირებაში „ბორჯღალოსნებმა“ იმარჯვეს. ოკეანისგაღმელებმა ამჯერად რევანშის აღება შეძლეს.** შეხვედრის მე-3 წუთზე მასპინძელთა იერიშისას სტუმრები დაჯარიმდნენ და ქრის ვაილზმა ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა – 3:0. ექვსი წუთის შემდეგ სინიულამ ლელოთი ანგარიში რვამდე გაზარდა (გარდასახვა ვერ გამოიყენესძ. ათიოდე წუთში კვირიკაშვილმა სხვაობა ისევ სამ ქულამდე შეამცირა – 5:8. ამ მომენტიდან ამერიკელების უპირატესობა აშკარა გახდა – 28:8. შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსნებმა“ უკეთ ითამაშეს, ტაიმი 12:8 მოიგეს, თუმცა საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მომდევნო ტესტმატჩს ჩვენები 23 ივნისს ვანკუვერში კანადის ნაკრებთან გამართავენ. გასულ უქმეებზე დანარჩენი ამხანაგური მატჩები ასე დამთავრდა: კანადა – იტალია 16:25, არგენტინა – საფრანგეთი 23:20, სამხრეთ აფრიკა – ინგლისი 36:27, ავსტრალია – უელსი 25:23, ახალი ზელანდია – ირლანდია 22:19, ფიჯი – შოტლანდია 16:25.

# „ლელომ“ ლელო იოლად გაიტანა

**შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატში 12 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც სამი ეტაპის ჯამში გამოავლენენ გამარჯვებულსა და პრიზიორებს. ასპარეზობის მონაწილენი ორ ჯგუფში არიან განაწილებულნი. გასულ შაბათ-კვირას პირველი ეტაპის შეხვედრები გაიმართა. წრიული ორთაბრძოლების შემდეგ ჯგუფებში ადგილები ასე განაწილდა:**



A **ჯგუფი**. „ლელო“ – 10, „აკადემია“ – 6, „ბათუმი“ – 6, „ჯიქები“ – 4, „ხულიგანა“ – 4, „რაინდები“ – 0 ქულა.

B **ჯგუფი**. „ბაგრატი“ – 8, „აია“ – 8, „ლოკომოტივი“ – 7, „ყოჩები“ – 5, „არმაზი“ – 3, „არწივები“ – 0 ქულა.

ნახევარფინალში „ლელომ“ „აია“ დაამარცხა – 33:7, „აკადემიამ“ კი „ბაგრატს“ მოუგო – 24:7. გადამწყვეტ პაექრობაში „ლელომ“ „აკადემიასაც“ დააყრევინა ფარხმალი – 27:12 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისის „აიამ“ თანაქალაქელთა „ბაგრატს“ აჯობა – 12:5.

შვიდკაცა რაგბის ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი მომდევნო შაბათ-კვირას გაიმართება.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# მოზაიკა

**ნბა-ს ფინალური სუპერსერიის მესამე შეხვედრა „მაიამი ჰითმა“ საკუთარ დარბაზში 91:85 მოუგო „ოკლაჰომა სითი თანდერს“ და 2:1 დაწინაურდა.**



მასპინძელთა ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა ორმაგი „დუბლი“ შეასრულა – 29 ქულა და 14 მოხსნა, რამაც განსაზღვრა კიდეც ბრძოლის ბედი.

რაც შეეხება ოკლაჰომელთა უპირველეს ვიოლინოს კევინ დიურანტს, მას მალევე დაუგროვდა პერსონალური შენიშვნები, რის გამოც დასკვნით პერიოდში ჩვეული აქტიურობით ველარ ეხმარებოდა პარტნიორებს.

მეტოქენი მეოთხე შეხვედრასაც ხვალ მაიამიში გამართავენ.

* * *

**სანამ ოკეანის გაღმა გაგანია სატიტულო ბატალიები მიმდინარეობს, ევროპის წამყვან საკალათბურთო ქვეყნებში ოქროს მედლის მფლობელთა ვინაობა გაირკვა.**

**ესპანეთი**. „ბარსელონა“ – „რეალი“ 73:69 (3:2ძ.

**იტალია**. „მონტეპასკი“ – „მილანი“ 84:73 (3:1ძ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩვენი კარაბადინი

# სექსი სსრ კავშირში იყო, არ ყოფილა წამალი სექსისთვის

**გარდაქმნის პერიოდში შეერთებულ შტატებთან ტელეხიდის ერთ-ერთმა მონაწილე ქალბატონმა პირდაპირ ეთერში მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „საბჭოთა კავშირში სექსი არ არის!“ მას შემდეგ ეს ფრაზა ფრთიანი გახდა და ბევრმა იწამა კიდეც იგი, როგორც ჭეშმარიტება. რასაკვირველია, ეს სისულელეა: სექსი მაშინ იყო...**

**... არ ყოფილა სექსისთვის წამალი — პრეპარატები, რომლებიც რეალურად დაეხმარებოდა იმპოტენტ მამაკაცებს. მაშინ ჯერ ასე ეძახდნენ ერექტიულ დისფუნქციას, რაც იმ დროს გვხვდებოდა არაიშვიათად, ვიდრე დღეს, მაგრამ მაშინ რეალურად ამით ექიმები არ იყვნენ დასაქმებული. პრობლემა უფრო ფსიქოლოგიურად ითვლებოდა, ვიდრე სამედიცინოდ. ზოგიერთი ესკულაპი ამ სარბიელზე ფულს აკეთებდა, სთავაზობდა მამაკაცებს ათასნაირ ავანტიურასა და მოწყობილობას, რომლებიც დიდად არავის ეხმარებოდა, მაგრამ შემოსავალი მაინც სტაბილური იყო.**

### მაგია სექსის ნაცვლად

**ეს გასაოცრად გვეჩვენება, მაგრამ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, სადაც ყველაფერი იყო, დეფიციტის გარდა, წამალი ერექტიული დისფუნქციის სამკურნალოდ ასევე ჯერ კიდევ არ იყო. იქ, რასაკვირველია, იყო თითქმის მაგიურ საშუალებათა მთელი მასა, რომლებიც ჩამოჰქონდათ ეგზოტიკური ქვეყნებიდან ლეგენდებთან ერთად იმის შესახებ, თუ ეს წამლები როგორ აქცევდნენ იქაურ მამაკაცებს სექსგიგანტებად, ვისაც შეეძლო „სიყვარული“ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. გარდაქმნის შემდეგ თითქმის ყველა ეს საშუალება გაჩნდა ჩვენშიც. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მათ სექსუალური პრობლემები აქ, ისევე როგორც დასავლეთში, ვერ გადაწყვიტეს. როგორც ჩანს, მამაკაცებზე ისინი არ მოქმედებენ.**




პირველი რეალურად მოქმედი პრეპარატები, და არა „ლეგენდარული“ საშუალებები, გაჩნდა დასავლეთში მალე იმ გარდაქმნითი ტელეხიდების შემდეგ. მაგრამ მსოფლიო პოპულარობა მათ არ მოუხვეჭიათ. მაშინაც კი, როდესაც მათი ეფექტი იყო ძალიან ძლიერი, მხატვრულად რომ ვთქვათ, „ისინი მკვდარსაც კი ფეხზე აყენებდნენ“. რატომ? მათი გამოყენება, ვთქვათ პირდაპირ, არ იყო მარტივი. ის შეჰყავდათ პირდაპირ სასქესო ორგანოში ნემსის მეშვეობით. გართულებებიც მათი გამოყენების დროს იშვიათი როდი იყო.

აი რომ გამოჩენილიყო ისეთი პრეპარატები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ისევე მარტივად, როგორც ეს მაგიურ-ლეგენდარული საშუალებანი, ისინი დაგვეხმარებოდა ისევე, როგორც ეს მაფრთხობელა ნემსები... ასეთი წამლები მთელ მსოფლიოს დაიპყრობდა. იმათ შეიყვარებდნენ არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალებიც. მათი წყალობით ისინი ხომ კვლავ შეიძენდნენ სექსის სიხარულს — მამაკაცებს კვლავ შეეძლებოდათ ჰყვარებოდათ ისინი არა მხოლოდ პლატონურად.

### და სექსი მაგიის ნაცვლად

**ასეთი პრეპარატები გაჩნდა გარდაქმნიდან ათი წლის შემდეგ. და, რასაკვირველია, დასავლეთში. მაგრამ მათ რეალურად დაიპყრეს მთელი მსოფლიო და მათ შორის ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიც. ასეთი წამლები ჩვენში არის. უფრო მეტიც, არის ახალი თაობების პრეპარატებიც, რომლებიც უფრო უსაფრთხოა. პირველ წამლებთან შედარებით, რეალურად გვეხმარება ერეტიკული დისფუნქციის დროს. ესენი არა თუ უფრო ეფექტიანია ძველ წამლებთან შედარებით, არამედ უფრო უსაფრთხოც.**

და ეს ყველაფერი როდია. ხდება ამ პრეპარატების სრულყოფა. მათ ხდიან სულ უფრო და უფრო მოსახერხებელს. ამ ცოტა ხნის წინათ, კვლავ დასავლეთში, გამოჩნდა ახალი საშუალება, რომლის გადაყლაპვა და წყლით დალევაც არაა საჭირო. საკმარისია ის ჩაიდო პირში და წუწნო. ის მოქმედებასაც სხვა წამლებზე უფრო სწრაფად იწყებს. პრეპარატებისთვის, რომლებიც ასეთი დელიკატური ფორმით მუშაობს, ეს არის არსებითი უპირატესობა. ინტიმურ ურთიერთობებში წვრილმანები ხომ არ არსებობს. და მამაკაცის ნებისმიერი მანიპულაცია აბებით, წყლის ძებნა, რომ დალიო აბი, მცდელობა დაუკავშირო წამლის მოქმედება სქესობრივ აქტს დროის შესაბამისად — ყოველივე ამან შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ზოგიერთ ადამიანზე. ახლა კი ჩაიდე პირში შეუმჩნევლად აბი, და ყველაფერი რიგზეა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ჯერჯერობით ასეთი საშუალებები ჩვენთან არ არის. მაგრამ მალე იქნება. ამაში ეჭვი არ შეგვეპაროს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პრაქტიკულად ყველაფერი ახალი და ყურადსაღები მალე გამოჩნდება ჩვენს ქვეყანაშიც. სხვათა შორის, დღეს არსებული საშუალებებიც საკმარისია, რომ პრაქტიკულად გადაიჭრას ერექციული დისფუნქციის პრობლემა ქვეყნის მასშტაბით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ძალიან ბევრი მამაკაცი არც კი ცდილობს გადაჭრას თავისი პრობლემები სექსში. მათ ურჩევნიათ გადაიტანონ ეს მდუმარედ, თავის თავთან. მათ არ შეუძლიათ მიმართონ დახმარებისთვის ექიმს თავიანთ კომპლექსთან დაკავშირებით. ბევრს აქვს იმავე მაგიურ-ლეგენდარული საშუალებებით მკურნალობის ნეგატიური გამოცდილება, და ამის შემდეგ უკვე საერთოდ აღარ სწამთ, რომ შეიძლება მათ დაეხმარო. მათ დაკარგეს რწმენა თავისი თავისაც, მედიცინისაც. ეს არასწორია. ასეთ სიტუაციაში მეტად პოზიტიური როლი ქალებმა უნდა შეასრულონ. მათ შეუძლიათ გადადგან პირველებმა ის ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლიათ დააბრუნონ ოჯახურ ურთიერთობაში ნორმალური სექსი.

ЗДОРОВЬЕ

„რეფორმირებული“ წარსული?!

## ბაგრატის ტაძარი ვიღაცის ამბიციებს არ უნდა შეეწიროს

**საქართველოს სულიერი მამის განცხადება**

ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის განცხადებას მიესალმება.

როგორც ხოშტარიამ განაცხადა, დაუშვებელია ბაგრატის ტაძრის ხელახლა აშენება, მით უფრო, როცა არავის აქვს წარმოდგენა, როგორი იყო და რა ფორმის გუმბათი ჰქონდა ამ ტაძარს.

— ძალიან გამიხარდა პატრიარქის რეაგირება, თუ კიდევ რამეს ეშველება. უკვე ბევრი რამ გაფუჭებულია — ვიღაცას ამბაციები აწუხებდა და ყველაფერი აქედან გამომდინარეობს, ეს არის არაპროფესიონალიზმი, — აღნიშნა მან.

ხოშტარია მიიჩნევს, ტაძრის შემორჩენილი ნაწილი უნდა გამაგრებულიყო. მისივე თქმით, აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოების მსოფლიო კანონია, რომ ხელახლა კი არ აშენებენ, რაც არის, იმას ამაგრებენ და ინარჩუნებენ.

— გადახედონ მსოფლიო ძეგლებს, ყველგან ასეა, თავიდან არავინ აშენებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მეტი დარწმუნებულობით შეუძლიათ თქვან, რა იყო. გუმბათი დაკარგულია, არავინ იცის, რა სიმაღლე იყო, ვიღაცისთვის მნიშვნელობა არ აქვს 10 სანტიმეტრით ზემოთ მეტი იქნება თუ 4 სანტიმეტრით — ქვემოთ. ხელოვნებისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, სანტიმეტრი წყვეტს ყველაფერს; ქვეყნის სახეა ეს ტაძარი, ბოსელი კი არ შენდება, — განაცხადა ხოშტარიამ.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი კი აცხადებს, რომ ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია ვანო გრემელაშვილის პროექტის მიხედვით გაგრძელდება.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, რატომ მიმდინარეობს ტაძართან ლიფტისა და ზოგიერთი ისეთი მშენებლობა, რომელსაც გრემელაშვილის პროექტი არ ითვალისწინებდა, ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ „არის ცალკეული მოდიფიცირება უკვე „იუნესკოს“ მოთხოვნით“.

— პროექტის დაწუნებაზე საუბარი არ არის. ვფიქრობ, გაუგებრობაა ლიფტის გამო, რომელიც სრულ დეზინფორმაციას ეფუძნება. ესეც გადაწყვეტადია. იგი ტაძარში არ არის. იგი კეთდება არასაეკლესიო, საერო ნაგებობასთან. ის არ ჩანს. არის მცირე ზომის და დაფარულია. ეს არის იმ ხანდაზმული ადამიანებისთვის, რომელთაც მოუნდებათ ასვლა და ბაგრატის ტაძრის ისტორიის გაგება. ჩვენ თუ გვინდა, რომ ვიაროთ ფეხით, მაშინ ვიაროთ ფეხით. საბოლოოდ ყველა მოვითხოვთ, რომ ისე დაიგეგმოს ბაგრატის ტაძრის თვითეული კვანძი, თვითეული ნიუანსი, რომ ხელი არაფერს შეეშალოს, — განაცხადა ვაჩეიშვილმა.

ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია 2009 წელს დაიწყო და მისი საზეიმო გახსნა 2012 წლის შემოდგომაზე იყო დაგეგმილი. პროექტი, რომლის ავტორი არქიტექტორი ივანე გრემელაშვილია, საპატრიარქომ მოიწონა. თუმცა არსებული ინფორმაციით, შემდეგ ტაძრის რესტავრაცია ისე წარიმართა, რაც პროექტით არ იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ტაძრის რესტავრაცია თანამედროვე ელემენტების გამოყენებით მიმდინარეობს, რაც ექსპერტების შეფასებით, ძეგლს მხატვრულ-ისტორიულ ღირებულებას უკარგავს.

არქიტექტორი ივანე გრემელაშვილი რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

ამასთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ქადაგებისას ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის დაუყოვნებლივ შეჩერება მოითხოვა. უწმინდესმა ბრძანა, რომ ბევრი რამ არასწორედ კეთდება და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ რესტავრაცია თვითნებურად და საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად მიმდინარეობს.

— ამიტომ გავეცი ბრძანება, დროებით შეწყდეს სარესტავრაციო საქმიანობა ბაგრატის ტაძარში, ვიდრე არ გავერკვევით დეტალურად, რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გაკეთდეს. ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ისტორიული და კულტურული ძეგლია და მას ასე უბრალოდ ხელი არ უნდა მოვკიდოთ, — აღნიშნა უწმინდესმა.

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** ვარ უკიდურესად ღარიბი. ვიღებ 65 ლარიან ინვალიდობის პენსიას და კიდევ სოციალურ დახმარებას — 22 ლარს. მეზობლები მეუბნებიან, რომ დახმარება 30 ლარი მეკუთვნის. მე კი არ ვიცი, სად წავიდე და ვის მივმართო. იქნებ დამეხმაროთ?

**ნაირა მიძიაშვილი**

**პასუხი:** იმისთვის, რომ 22 ლარის ნაცვლად 30 ლარი დახმარება მიიღოთ (ორივე ერთად არ მოგეცემათ), საჭიროა, დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში და მოიპოვოთ შესაბამისი სარეიტინგო ქულა. აღნიშნულ საკითხზე მისვლას თუ პირადად ვერ შეძლებთ, საჭიროა თქვენმა ახლობელმა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა:** ვარ 22 წლის, მყავს 3 წლის ბავშვი, რომელსაც მამამ გვარი მისცა, მაგრამ შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით, საერთოდ არ ნახულობს ბავშვს, სადღაც დაიკარგა. იქნებ მაცნობოთ, ჩავითვლები თუ არა მარტოხელა დედად?

**შორენა ნინიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით. თქვენი შვილი, რომლისთვისაც მამას გვარი მიუცია, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითაც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. ასე რომ, თუ თქვენი შვილის მამა ნებაყოფლობით არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, სრული უფლება გაქვთ მისთვის შვილის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე მიმართოთ სასამართლოს.

**კითხვა:** ვარ 25 წლის, მყავს 2 შვილი, მათ შორის უმცროსი 2 თვისაა. ვმუშაობ ბანკში მაღალ ხელფასზე. მეუღლეს და დედას დაბალი ხელფასი აქვთ. მინდა გავიდე სამსახურში და ჩემს ნაცვლად ბავშვის მოსავლელად დედაჩემმა აიღოს უხელფასო შვებულება. ადრე ეს დასაშვები იყო. გთხოვთ, მაცნობოთ, ისევ მოქმედებს ასეთი წესი?

**ელისო მეტრეველი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შვებულება ბავშვის (შვილიშვილის) მოსავლელად შეუძლია აიღოს ბავშვის ბებიამ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც მას მოუვლის. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ ახალი შრომის კოდექსით, ქალს შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე) საერთო ჯამით მხოლოდ 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით ეძლევა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

ინფორმაცია

## 22 ივნისამდე შედარებით გრილი ამინდები იქნება

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძე იტყობინება, შემდეგი სამი დღის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ზოგან ელჭექით. ჰაერის ტემპერატურა აღნიშნულ პერიოდში დაიკლებს.

22 ივნისამდე საქართველოში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 30-33 გრადუსი იქნება. 27 ივნისამდე კი — ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მზიანი ამინდები იქნება, თუმცა სინოპტიკოსები ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს არ ელოდებიან.

ინტერპრესნიუსი

## დაიჯესტი

### მომსახურების „ანი“ და „ბანი“



**კვებას, გნებავთ დროსტარებას საზოგადოებრივ ადგილებში, გარკვეული სპეციფიკა ახლავს, რომელიც მომსახურე პერსონალს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, თუკი რესტორნისა ან კაფეს იმიჯზე ზრუნავს.**

რა დრო არის საჭირო, რომ კაცმა საჭმელი გარეთ მიირთვას? ერთ-ერთი ცნობილი რესტორნის მეპატრონე ამასთან დაკავშირებით საგულისხმო რეკომენდაციებს იძლევა.

— მენიუს შესარჩევად რამდენიმე წუთი უნდა მქონდეს, ხოლო პირველ შეკვეთილ კერძს ხუთ წუთზე მეტს არ უნდა ველოდო, — ამბობს იგი. — ამასთან, ოფიციანტმა, პირველ ყოვლისა, თავად კლიენტს უნდა მიაქციოს ყურადღება: ნებისმიერ საქმის კაცს, რომელიც სადილობის დროს კვების ობიექტში შემოდის, მაშინვე უნდა მომსახურება. ამასთან, საღამოს ქალიშვილთან შემოსულ კაცს ნამდვილად არსად ეჩქარება. მაგრამ როგორც უნდა დაკავებულები იყვნენ ოფიციანტები, კლიენტი მაშინვე უნდა შეამჩნიონ, როგორც კი ადგილს დაიკავებს.

### მართალია ჯანდაცვის სამინისტრო, როცა გვაფრთხილებს...

**იქ, სადაც თამბაქოს მოწევა აკრძალულია, ჰაერის დაბინძურება 89 პროცენტით დაბალია ვიდრე იქ, სადაც თამბაქოს ეწევიან.**

ეს მონაცემები მსოფლიოს 32 ქვეყნის 1800 საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჰაერის გამოკვლევის შედეგადაა მიღებული. აღსანიშნავია, რომ 88-დან 40 პროცენტამდე შემცირდა დაავადებათა მთლიანი რიცხვი ბოლო ათი წლის განმავლობაში თამბაქოს არამწეველთა შორის, ვინც უნებლიედ პასიური მწეველის როლში გამოდიოდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც შტატების უმრავლესობაში დახურულ სამუშაო ოთახებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მოწევა აიკრძალა.



გარდა ამისა, თამბაქოს მოწევის აკრძალვას არიზონას შტატში ის შედეგი მოჰყვა, რომ 13 პროცენტით შემცირდა საავადმყოფოში მიოკარდის ინფარქტის დიაგნოზით მოხვედრილთა რიცხვი, 33 პროცენტით — არასტაბილური სტენოკარდიის, ხოლო 22 პროცენტით — ასთმის გამწვავების გამო.

### თევზების ღაღადი

**ამერიკელმა ბიოქიმიკოსმა მდინარეების წყლის დაბინძურების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღების თევზების მიერ გამოცემული ხმების მიხედვით დადგენის წინადადება წამოაყენეს.** მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რაც უფრო დაბინძურებულია მდინარის წყალი, მით უფრო მეტად „ახველებენ“ და „ხროტინებენ“ თევზები. თანაც, რაც უფრო გამოუსადეგარია წყალი არსებობისთვის, მით უფრო მეტად „ახველებენ“ თევზები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი „ღაღადებენ“, მაგრამ ჩვენ მათი, სამწუხაროდ, არ გვესმის.



### ცაცხვის ყვავილი და... კომპიუტერი

**ბევრი ჩვენგანი კომპიუტერთან ძალიან დიდ დროს ატარებს, რის შედეგად თვალები გვეღლება და გვიწითლდება. ამ უსიამოვნებებისგან თავის დაღწევაში სამკურნალო ბალახები დაგეხმარებათ.**

●მაგალითად, პიტნის ფოთლების ერთ სუფრის კოვზს ერთი ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, ნელ ცეცხლზე 5-10 წუთი გააჩერეთ, შემდეგ გაწურეთ. ნაყენი ოთახის ტემპერატურამდე რომ გაცივდება მასში დოლბანდის ან ბამბის ტამპონები დაასველეთ და თვალებზე ათი წუთით მიიდეთ.



● გარდა ამისა შეგიძლიათ ორ ჩაის კოვზ ცაცხვის ხმელ ყვავილს ერთი ჭიქა მდუღარე წყალი დაასხათ, დაყენება 10-15 წუთი აცალოთ, შემდეგ გაწუროთ. ამის მერე ნაყენში დოლბანდი დაასველეთ და 5 წუთით თვალებზე მიიდეთ.

### კარტოფილი და... სილურჯე

**ხშირადაა, რომ ხელის ან ფეხის უნებლიეთ მირტყმის დროს კანქვეშ სისხლჩაქცევა ლურჯდება, რაც ულამაზო სანახავია.**

დალურჯების გასაქრობად და ტკივილის გასაყუჩებლად იმ ადგილზე კომბოსტოს ახალი ფოთლების მიდებას გვირჩევენ.

გარდა ამისა, კარგი საშუალებაა მტკივან და სისხლჩაქცევიან ადგილზე უმი კარტოფილის მიდება, რომლის გადანაჭერი უნდა ჩაიზილოთ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### „ქართული ოცნება“ უშვებს ძალიან სერიოზულ შეცდომებს“

— აცხადებს ვალერი გელბახიანი, — ჩემი აზრით, ივანიშვილი უნდა მისულიყო ოპოზიციის შეხვედრაზე და თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა, რადგან ულტიმატუმივით გამოუვიდა ივანიშვილს კლინტონთან ცალკე შეხვედრის მოთხოვნა. სხვა დროსაც იქნება მაღალი რანგის სტუმრების ვიზიტი საქართველოში და გაითვალისწინეთ, შემდგომისთვის, რომ მიიღოს მონაწილეობა, არა აქვს მნიშვნელობა მის გვერდით გამყრელიძე იჯდება თუ გიორგი თარგამაძე, მან თავისი სიტყვა უნდა თქვას.

„ქრონიკა“.

#### ჯონდი ბაღათურია „ვერსიას“ ოპოზიციის გეგმებს უმხელს

„გაგიმხელთ იმასაც, რომ კოლეგებში ორი აზრი დომინირებს — ჩამოყალიბდეს ერთი დიდი საარჩევნო ბულდოზერი, ანუ ერთიანი ოპოზიციური ფრონტი ან პოლიტიკურ ასპარეზზე მეორე საცეცხლე წერტილი გაიხსნას, რომელიც დანარჩენ ოპოზიციურ ძალებთან კოორდინაციით ხელისუფლებას შეუტევს“.

„ვერსია“.

#### კონტროლის პილატე

საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება გაათკეცებული ძალით შეუდგა ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ რეპრესიების განხრციელებას. კონტროლის პალატა და მის წიაღში საგანგებოდ ოპოზიციის დასარტყმელად შექმნილი ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელსაც „ნაცმოძრაობის ტერმინატორი“ ნათია მოგელაძე ხელმძღვანელობს, უკვე ლამის ცხვირის დაცემინებაზეც კი ათობით მილიონი ლარით აჯარიმებს ივანიშვილს.

„ასავალ-დასავალი“.

#### „ამერიკული დაცვის აყვანა ივანიშვილს აშშ-დან ურჩიეს“

ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოების დაცვის გამკაცრების ზომები, ხალხმრავალ აქციებზე ტრიბუნის გასწვრივ ტყვიაგაუმტარი მინა, შორიახლო კი დაცვის ამერიკელი თანამშრომლების გამჭოლი მზერა მავანთა განსჯის საგანი კარგა ხანია გახდა, არსებობს თუ არა გაოპოზიციონერებული მილიარდერის სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე, რატომ აიყვანა მაინცდამაინც ამერიკელი მცველები? ამაზე პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი გვიპასუხებს.

„კვირის პალიტრა“.



### დაოჯახების მსურველთა საყურადღებოდ!

**შეარჩიეთ და გაიცანით თქვენთვის სასურველი ადამიანი, მარტოობა დამღუპველია, შექმენით ოჯახი და ეწიეთ ბედნიერებას. ჩვენი გაზეთი ოჯახური ბედნიერების მსურველთა განცხადებებს დაბეჭდავს უფასოდ.**

**ჩვენი ელექტრო მისამართია:** sakresp@mail.ru **და** sakresp.@wanex.ge

## ანეკდოტები

**ორი ქალი ერთმანეთს შეხვდა.**

**— ორსულად ვარ, — ამბობს ერთი.**

**— ვინ გითხრა?**

**— ექიმმა.**

**— მამა ვინ არის?**

**— არ ვიცი, ექიმს არ უთქვამს.**

* * *

**დედა შვილს ექსკურსიაზე აცილებს:**

**— აი, შვილო, ჩანთაში ჩაგილაგე კარაქი, პური და ერთი კილო ლურსმანი.**

**— რისთვის?**

**— როგორ თუ რისთვის? კარაქს პურზე გადაუსვამ და შეჭამ...**

**— კი, მაგრამ ლურსმანი?**

**— აი, აგერაა, ხომ გითხარი, ისიც ჩაგიდემეთქი.**



* * *

**— ახლა ჩემი მომზადებული სადილიც არ მოგწონს, არა? — ზლუქუნებს ახალგათხოვილი გოგო, — დაქორწინებამდე კი მეფიცებოდი, რომ ჩემი გულისთვის სამარეში ჩაწვებოდი.**

**— ჰო, კარგი, ნუ წუწუნებ, — პირჯვარს იწერს ქმარი, — ჯანდაბას ჩემი თავი, მოიტანე შენი შემწვარი კატლეტები.**

* * *

**— შენთან მოულოდნელი თხოვნა მაქვს: ფული მასესხე!**

**— მართლაც ძალიან გამაოცე! იცი, შენი მოულონდელი თხოვნა სინამდვილეში ასეთი უნდა იყოს: „თუ ძმა ხარ, მიიღე ფული, რომელიც შარშან ვისესხე შენგან!“**

* * *

**— აბა, რა უნდა ლამაზ გოგოს? — უღიმის სოფლის მაღაზიის გამყიდველი ქალაქიდან დასასვენებლად ჩასულ დაშას.**

**— ლამაზ გოგოს არაყი უნდა, მაგრამ ახლა პურისთვისაა მოსული.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24